ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 23 დეკემბერი, 2019 №303 (8257) ფასი: 60 თეთრი

გიორგი სოლოღაშვილი: „ცოტნეამ უმიზეზოდ დამარტყა ხელი. ამოვიღე დანა და ეგრევე დავარტყი მეც“

გვ.5

17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები



ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი

ხატია დეკანოიძე: „ამერიკამ გაიგო, რომ ბიძინა ივანიშვილს სახელმწიფოს მიტაცება სურს“

გვ.3

„ოცნებასთან“ დაკავშირებული „ტროლების“ საკითხზე მოკვლევა აუდიტის სამსახურმა უნდა დაიწყოს“

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ბიძინა ივანიშვილს საქართველოდან გაქცევა მოუწევს“

გვ.3

რომან გოცირიძე: „ოცნება“ პროპორციულ სისტემაზე გადასვლას არც 2024-ში აპირებს“

გვ.4

ანზორ აბრალავა: „ოპოზიციის ნამდვილი სახე ფეისბუქის ყალბი გვერდების გარეშეც ვიცით“

გვ.4

სად გადასვა რუსეთმა ჯაშუშების ახალი დესანტი

გვ.4

გვ.5

სუსმა ქვემო ქართლის მაღალჩინოსანი ლ.ლ. დააკავა

2 მამუკა ხაზარაძე: „ჩვენ გვყავს კრიმინალური მენტალობის პრემიერი“

5 მიწის ნაკვეთების საქმეზე დაკავებულ 2 პირს გირაო შეეფარდა, 4-ს — პატიმრობა

2 ფეისბუქმა „ოცნებასთან“ დაკავშირებული ასობით გვერდი, ანგარიში და ჯგუფი წაშალა

6 ბორის ჯონსონმა ბრიტანელ ჯარისკაცებს საშობაო საჩილი დაურიგა

ISSN 1987-9385

გიორგი სოლოღაშვილი: „ცოტნემ უმიზეზოდ დამარტყა ხელი. ამოვიღე დანა და ეგრევე დავარტყი მეც“

ცოტნე გამსახურდიას მკვლელობის მცდელობის საქმეზე 4 დაკავებულს პატიმრობა შეეფარდა, 1 გაათავისუფლეს

გუშინ, 22 დეკემბერს, ცოტნე გამსახურდიას მკვლელობის მცდელობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულ 4 პირს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეეფარდა, ხოლო ამავე საქმეზე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებული 1 პირი, თორნიკე ქვათაძე, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

გადაწყვეტილება მოსამართლე ნატო ხუჯაძემ მიიღო.

პეტრე ყუფარაძეს, თორნიკე ქვათაძეს, გიორგი სოლოღაშვილს, კახა ჩხეტიანსა და ტატო ღარიბაშვილს ბრალი ოფიციალურად 21 დეკემბერს წაუყენეს.

ტატო ღარიბაშვილს ბრალი განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით წარედგინა, ხოლო გიორგი სოლოღაშვილს ბრალი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობიდან მკვლელობის მცდელობის მუხლით გადაუკვალიფიცირდა.

პეტრე ყუფარაძეს, თორნიკე ქვათაძესა და კახა ჩხეტიანს ბრალი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის მუხლით წარედგინათ.

ადვოკატი გიგუაშვილი: „წარმოუდგენელია, რომ ღვინის ხარისხზე სუფრულ გარჩევას ამგვარი სისასტიკე მოჰყოლოდა“

მომდევნო სასამართლო სხდომა 12 თებერვალს, 13:00 საათზე გაიმართება.

❖ ❖ ❖

ცოტნე გამსახურდიას განზრახ მკვლელობის მცდელობის საქმეზე დაკითხული ერთ-ერთი პირის ჩვენების მიხედვით, გამსახურდიასა და საქმეში ფიგურანტ პირებს შორის დაპირისპირება ღვინის გამო დაიწყო.

საქმეზე დაკითხული ერთ-ერთი პირის, მ.ხ-ს ჩვენება „ინტერპრესნიუსმა“ ექსკლუზიურად მოიპოვა.

სააგენტოს ექსკლუზიური ინფორმაციით, ჩვენებაში მ.ხ. ყვება, რომ გამსახურდია და საქმეში ფიგურანტი პირები ერთ სუფრაზე მოხვდნენ, პირველი პრეზიდენტის შვილმა მათ „კარგი ღვინის მიტანა“ შესთავაზა, თუმცა ღვინო სუფრის წევრებს არ მოეწონათ, რამაც ცოტნე გამსახურდია გააანაწყენა.

„ბავშვობიდან ვიცნობ და ვმეგობრობ კახა ჩხეტიანთან, რომელთანაც ნათელმირონობაც მაკავშირებს... 20 დეკემბერს, დაახლოებით 09:30 საათზე, ჩემს მობილურზე უცნობი ნომრიდან დარეკა კახა ჩხეტიანმა და მითხრა, რომ თუ სახლში იქნებოდა, მოვიდოდა... დაველოდე კახას, რომელიც მოვიდა დაახლოებით 12 საათისთვის მარტო ფეხით... ამის შემდეგ მე გავაწყვე სუფრა და მოვთხოვე კატეგორიულად, მოეყოლა კახას ჩემთვის ყველაფერი და აქა-იქ ნუ მელაპარაკებოდა, რაზედაც კახამ მიამბო შემდეგი:

19 დეკემბერს ყოფილა მისი გარდაცვლილი ძმის, ბადრის დაბადების დღე, რის გამოც კახა და მისი მეზობელი, რომლის სახელი და გვარი არ მახსოვს, წასულან ბადრის საფლავზე, დაუნთიათ სანთლები და მალევე უკან, მათ უბანში დაბრუნებულან. გზად შეუძენიათ სამწვადე, რათა ეთქვათ და მოეგონათ გარდაცვლილი ბადრი. ისინი დამსხდარან ცოტნე გამსახურდიას სახლის ანუ კოლხური კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე, იქ, სადაც უბნელები იკრიბებიან თურმე. სუფრის დროს დაურეკავთ ძმებ ქვათაძეებს კახასთვის და უკითხავთ, თუ სად იყო, რაზედაც კახას უთქვამს, რომ სასაფლაოზე სანთლები დაენთოთ და ჩასულიყვნენ იქ, სადაც ქეიფს აპირებდნენ.

ამასობაში კახასთან მისულან სხვა უბნელებიც. ერთ-ერთ მეზობელს, ვანო კორინთელს, უნდა მიეტანა სუფრაზე ღვინო. ამ დროს იქ უკვე მისულან ძმები ქვათაძეები და მათი მეგობარი ტატო ღარიბაშვილი, რომელიც ფეხებზე ოპერაციების გამო იმყოფებოდა თურმე კასტილებით. ვანო კორინთელის მოსვლამდე მისულა ცოტნე გამსახურდია, რომელსაც თავის მხრივ შეუთავაზებია კახასთვის კარგი ღვინის მიტანა. კახას მიუცია ჭურჭელი და ცოტნესაც მოუტანია ღვინო, რომელიც, როგორც კახამ თქვა, არც ერთ სუფრაზე მყოფს არ მოსწონებია.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ფეისბუქმა „ოცნებასთან“ დაკავშირებული ასობით გვერდი, ანგარიში და ჯგუფი წაშალა

რუსეთისა და ჩინეთის შემდეგ ფეისბუქმა მასშტაბური წმენდა საქართველოში დაიწყო. ამიერიდან საქართველოც სწორედ იმ ქვეყნების სიაშია, სადაც ხელისუფლება ყალბ გვერდებს ქმნის ან აფინანსებს.

ფეისბუქმა საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირებული ასობით გვერდი, ანგარიში და ჯგუფი წაშალა.

„წავშალეთ 39 ქართული „ფეისბუქ“ ანგარიში, 344 გვერდი, 13 ჯგუფი და 22 ინსტაგრამ ანგარიში, რომლებიც ჩართულები იყვნენ კოორდინირებულ არაავთენტურ ქცევაში“, – ამის შესახებ ფეისბუქის განცხადებაშია ნათქვამი.

კომპანიის ინფორმაციით, ადამიანები ფეიქანგარიშებს თავიანთ გვერდებზე ჩართულობის გასაზრდელად იყენებდნენ.

„გვერდები წარმოდგენილი იყვნენ, როგორც ახალი ამბების სააგენტოები და თავს ასაღებდნენ პოლიტიკურ პარტიებად, საჯარო პირებად და მედია საშუალებებად. გვერდების ადმინისტრატორები და ანგარიშების მფლობელები, როგორც წესი, ადგილობრივ ახალ ამბებსა და პოლიტიკურ საკითხებზე პოსტავდნენ, მაგალითად, როგორიცაა არჩევნები, სამთავრობო პოლიტიკა, მაღალჩინოსნები, ოპოზიციისა და ადგილობრივი აქტივისტური ჯგუფების კრიტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ანგარიშების უკან მდგომი ადამიანები ცდილობდნენ, დაეფარათ თავიანთი იდენტობა და კოორდინირებული მუშაობა, ჩვენი გამოძიებით ეს აქტივობები საქართველოში მოქმედ სარეკლამო კომპანია „პანდასა“ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას უკავშირდება“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ფეისბუქის ინფორმაციით, გაუქმებული გვერდებიდან ერთს ან რამდენიმეს დაახლოებით 442.300 „ფოლოვერი“ ჰყავდა, 52.000 ანგარიში გაწევრიანებული იყო გაუქმებული ჯგუფებიდან ერთში ან რამდენიმეში და დაახლოებით, 2.100 ადამიანს ჰქონდა გამოწერილი ერთი ან რამდენიმე გაუქმებული ინსტაგრამ ანგარიშიდან.

ორგანიზაციის ცნობით, ფეისბუქსა და ინსტაგრამზე რეკლამებისთვის დაახლოებით 316.000 აშშ დოლარია დახარჯული.

განცხადებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული გვერდების იდენტიფიცირება კომპანიამ კოორდინირებული არაავთენტური ქცევის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში განახორციელა.

ფეისბუქის განცხადებით, ყალბი პროფილები საქართველოს ხელისუფლების ნარატივსა და მის საერთო მესიჯბოქს ავრცელებდნენ, ასევე, ეწეოდნენ ანტიდასავლურ კამპანიას და ოპოზიციურ ლიდერებზე ჭორებს ავრცელებდნენ.

კალაძე: „არ ვიცი, რა ექაუნთებზეა საუბარი“

– არ ვიცი, რა ექაუნთებზეა საერთოდ საუბარი, არ არის ჩემთვის საინტერესო.

ასე ეხმაურება „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახი კალაძე ფეისბუქის მიერ სოციალურ ქსელში სამთავრობო ტროლების გვერდებისა და ანგარიშების წაშლას.

– ჩემთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების მხარდაჭერა, თანადგომა იმ ადამიანების, ვისაც გული შესტკივა ჩვენს ქვეყანაზე.

ფეიკ ნიუსთან დაკავშირებით მთავარი იდეოლოგები ვიცით, რომელი პარტიაა და ამას ჰქვია ნაციონალური მოძრაობა და მისი განშტოებები.

რა თქმა უნდა, თუ ამის დარეგულირება და მოწესრიგება შესაძლებელია, მე ვფიქრობ, ევროპულ ქვეყნებში გარკვეული ცვლილებები ფეიკ ნიუსების გავრცელებასთან დაკავშირებით განხორციელდა და შეგვიძლია გადმოვიტანოთ საუკეთესო მაგალითები, რომ ჩვენთანაც იყოს ეს მიდგომა, – განუცხადა ჟურნალისტებს კახა კალაძემ.

მამუკა კაციტაძე: „ახალი მემარჯვენეები“ ცხოვრებას „ლელოს“ დროშის ქვეშ გავაგრძელებთ“

– პარტიამ „ახალი მემარჯვენეები“ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკური გაერთიანების „ლელო საქართველოსთვის“ დროშის ქვეშ გავაგრძელოთ ცხოვრება.

ამის შესახებ მამუკა კაციტაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია და მხოლოდ სამართლებრივი პროცედურებია დარჩენილი.

– პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ახალი მემარჯვენეები“ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ერთობლივად დაგვეფუძნებინა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ და ამ პოლიტიკური გაერთიანების დროშის ქვეშ გავაგრძელოთ ჩვენ ცხოვრება.

პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიღებული გვაქვს, რაც შეეხება ამის სამართლებრივ უზრუნველყოფას, ამას დასჭირდება გარკვეული პროცედურების ჩატარება. პროცედურებს ისევე უზრუნველვყოფთ კანონის თანახმად, როგორც ყოველთვის გაგვიკეთებია კანონის შესაბამისობაში მოქმედება, გარკვეული ვადის შემდეგ,

როცა ამის სამართლებრივი უზრუნველყოფა მოხდება, საზოგადოებისთვის იქნება ინფორმაცია მიწოდებული. ჩათვალეთ, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე სისრულეშია მოყვანილი, ახალი პოლიტიკური ცხოვრება ჩვენ მიერ არის დაწყებული, – განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება „ახალმა მემარჯვენეებმა“ ქვეყანაში არსებული კრიზისული ვითარების გამო მიიღეს.

როგორც ის ამბობს, საჭიროა საერთო პოლიტიკური ხედვებისა და ფასეულობების მქონე პოლიტიკური ჯგუფების გაერთიანება, რათა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა იყოს პროდუქტიული.

– ყველაფერი, რაც მოხდება ამ წუთიდან და მომავალში, ეს იქნება ლელოს სახელით, ჩვენ სრული კონსოლიდაციით შევუდგებით ახალ პოლიტიკურ ცხოვრებას, – განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

მამუკა ხაზარაძე: „ჩვენ გვყავს კრიმინალური მენტალობის პრემიერი“

– ჩვენ გვყავს კრიმინალური მენტალობის პრემიერ-მინისტრი!

ამის შესახებ პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რითაც კომპანია ფეისბუქის მიერ საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირებული ასობით ანგარიშის წაშლის შესახებ დასმულ შეკითხვას უპასუხა.

მისი თქმით, ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა არაკანონიერ მიმართულებას მფარველობენ, ხელისუფლებას უნდა ჩამოშორდნენ.

– ჩვენ გვყავს კრიმინალური მენტალობის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც არა მხოლოდ ამ საკითხზე უნდა გასცეს პასუხი, არამედ უნდა გასცეს სერიოზული პასუხი 20 ივნისის საქმეზე, პასუხი უნდა გასცეს პროკურატურას, რომელიც კიდევ არ იძიებს იმ წერილის შესახებ, რომელიც მან ჩვენ გამოგვიგზავნა.

შესაბამისად, ასეთი კრიმინალური მენტალობის ადამიანი, რომელიც მფარველობს სხვადასხვა არაკანონიერ მიმართულებას, ამ შემთხვევაში ბოტებსა და ტროლებს და ჩვენ ვიცით, რომ ეს იყო ხელისუფლების მფარველობის ქვეშ, უნდა ჩამოშორდეს ქართულ ხელისუფლებასა და პოლიტიკას, – განაცხადა ხაზარაძემ.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ხატია დეკანოიძე: „ამერიკამ გაიგო, რომ ბიძინა ივანიშვილს სახელმწიფოს მიტაცება სურს“

იაგო ნაცვლიშვილი

„ოცნებასთან“ დაკავშირებული „ტროლების“ საკითხზე მოკვლევა აუდიტის სამსახურმა უნდა დაიწყოს“

„ქართული ოცნების“ გარშემო მორიგი სკანდალია. „ფეისბუქის“ ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ რეალურად არსებობს „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული ე.წ. ტროლები და ბოტები. სოციალური ქსელის ადმინისტრაციამ მოკვლევის შემდეგ ასეთი ანგარიშები, გვერდები და ჯგუფები დაბლოკა. საქართველოს შემთხვევაში სულ საუბარია 39 ანგარიშის, 344 გვერდისა და 13 ჯგუფის შესახებ. ამასთან, „ინსტაგრამის“ 22 ანგარიშიც გაუქმდა. საქართველოს გარდა, ჯგუფები და გვერდები ვიეტნამსა და აშშ-შიც დაიბლოკა.

„მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტივობების უკან მდგომი ადამიანები ცდილობდნენ, შეენიღბათ თავიანთი ვინაობა და კოორდინირებული მუშაობა, ჩვენმა გამოძიებამ დაადგინა, რომ ისინი უკავშირდება საქართველოში არსებულ სარეკლამო სააგენტო „პანდასა“ და „ქართული ოცნების“ მთავრობას“, – ნათქვამია „ფეისბუქის“ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რა დადასტურდა ოფიციალურ დონეზე „ფეისბუქის“ ჩატარებული გამოძიების შემდეგ? როგორ უნდა მოიქცეს ნორმალური ხელისუფლება ასეთ დროს? რა გზავნილები ჩამოიტანა მან და მისმა 3 კოლეგამ აშშ-დან? რა განწყობებია ამერიკაში და ვისთან გამართეს შეხვედრები? – ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ხატია დეკანოიძე საუბრობს:

– მორიგი სკანდალია „ქართული ოცნების“ გარშემო. ე.წ. ტროლებისა და ბოტების „ქართულ ოცნებასთან“ კავშირი დაადასტურა „ფეისბუქის“ ადმინისტრაციამ. თქვენთვის რის დადასტურება იყო ეს?

– ალბათ ეს იყო იმის დადასტურება, რასაც ჩვენ დიდი ხანია ვამბობდით, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიც. როდესაც ვსაუბრობდით იმაზე, რომ ანტიდასავლური პროპაგანდა საქართველოში, სოციალურ ქსელებში ძირითადად მხარდაჭერილი იყო ხელისუფლების მიერ, საუბარია პროპაგანდაზე, რომელშიც ჭარბობს ჰომოფობიური, ქსენოფობიური განწყობები და ასევე ის, რასაც ჰქვია პრორუსული ნარატივი.

მეორეა ის, რომ ხელისუფლება უზარმაზარ ფულს ხარჯავდა რეალურად აღნიშნული ჯგუფების სოციალურ ქსელებში წახალისებისთვის. ეს არის იმის დადასტურება, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით, მათ შორის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი და მეორე ტურის დროს.

– ნორმალურმა ხელისუფლებამ რა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მაშინ, როდესაც ეს დასტურდება ოფიციალურად?

– მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ ნორმალური ხელისუფლებისგან ძალიან შორს არის, მაგრამ, ჩემი აზრით, აუდიტის სამსახურმა უნდა დაიწყოს აღნიშნული ფაქტის მოკვლევა და გაირკვეს, საიდან იხარჯებოდა ეს ფული, რატომ იხარჯებოდა. იმიტომ, რომ ე.წ. ფეიქნიუსების გავრცელება, სიცრუისა და ზიზღის შემცველი ინფორმაციის გავრცელება, რასაკვირველია, მძიმეა. ამასთანავე, ეს იყო ანტიდასავლური პროპაგანდა და ეს საკითხი ხაზგასმული იყო „ფეისბუქის“ განცხადებაში.

– ცოტა ხნის წინ იყავით აშშ-ში, გქონდათ არაერთი საინტერესო შეხვედრა. ახლა კი ირაკლი კობახიძე და „ქართული ოცნების“ დელეგაცია მართავენ შეხვედრებს. ნახევრად ხუმრობით რომ ვიკითხო, რა გამოვიდა? დაასწარით მათ ჩასვლა?

– მე ვფიქრობ, რომ კობახიძის დელეგაციის გამგზავრება მერე გადაწყდა, მას შემდეგ, რაც ჩვენ გვქონდა ვიზიტი აშშ-ში. ეს არის ჩემი ვარაუდი, თორემ, არ ვიცი, რა გეგმა ჰქონდა ბიძინა ივანიშვილს.

მაგრამ აქ მთავარი ეს კი არ არის. მთავარი არის ის, რომ ჩვენს პარტნიორებს აქვთ ობიექტური ინფორმაცია, რა ხდება საქართველოში, მათ შორის საინფორმაციო საშუალებებით, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, საკუთარი დიპლომატიური მისიებიდან.

რაც არ უნდა დელეგაციები გააგზავნოს ივანიშვილმა, ეს ინფორმაცია ხომ არსად მიდის და ილექება. ახლა რა ინფორმაცია უნდა იყოს, როდესაც ბიძინა ივანიშვილი „ენ-დი-აი“-სა და „აი-არ-აი“-ს პირდაპირ მტერს უწოდებს. ამას აკეთებს ადამიანი, რომელიც ამ ქვეყნის არაფორმალური მმართველია. საბნუხაროა, რომ სახელმწიფოს მიტაცება, როგორც ასეთი, ეს რეალობა უკვე ესმის ჩვენს პარტნიორებს და ხედავენ, რომ ამის საფრთხე არსებობს საქართველოში.

– ერთია, როდესაც დელეგაცია ჩადის და შეხვედრებს მართავს ამერიკაში, მაგრამ მეორეა, რომ კრიტიკული მედიის მალულად აკეთებს ამას ხელისუფლება, მაგრამ მედია მაინც იგებს ამას და მაინც ჟონავს ეს ინფორმაცია. ხელისუფლების ეს ქცევა როგორ უნდა გავიგოთ, ასე ეშინია თავისუფალი მედიის?

– როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ რაც უფრო დამალავენ ინფორმაციას, სახელისუფლებო არხების საშუალებით პროპაგანდით იქნებიან დაკავებულები და ამ პროპაგანდით დაიფარებიან, ჰგონიათ, რომ ძალაუფლებას უფრო გაიხანგრძლივებენ, მაგრამ თანამედროვე სამყაროში ასეთი რამე წარმოუდგენელია. როდესაც არსებობს ციფრული მედია და სოციალური ქსელები, რა უნდა დაიმალოს?! არაფერი იმალება, ინფორმაცია ძალიან სწრაფად ვრცელდება, ამიტომ სახელმწიფოს მიტაცების პროცესში უზურპატორს არანაირი პროპაგანდა და არანაირი პროპაგანდის დახმარების ხელი არ შველის.

ამიტომ რეალურად ეს გაფრთხილება სწორედ იმის დადასტურებაა, რომ საქართველოში დემოკრატია და თავისუფლება საფრთხის ქვეშ არის.

– ერთი საკითხია, რას ამბობს ღიად დასავლეთი საქართველოს შესახებ და რას წერს დასავლური მედია, მაგრამ, ბუნებრივია, რომ მის მიღმა არის კიდევ უფრო კრიტიკული პოზიციები, რაც უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება. აშშ-ში როდესაც გქონდათ შეხვედრები, რა განწყობები დაინახეთ და რა მთავარი გზავნილებით დაბრუნდით საქართველოში?

– ეს გზავნილები და განწყობები გაჟღერდა კონგრესმენებისა და სენატორების განცხადებებში. იქ ნათლად იყო გამოხატული პოზიცია, რომ პოლიტიკურ კრიზისზე პასუხისმგებელია ხელისუფლება, ის, რომ ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური გზა დაცული უნდა იყოს პროპორციული არჩევნებით და ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ოპოზიციის შეთავაზება საარჩევნო მოდელთან დაკავშირებით, ასევე ის, რომ რეალურად შედეგები, რაც ქართველ ხალხს უნდა, სწორედ დასავლური ღირებულებებია. ამიტომ რეალურად მთავარი გზავნილები ეს არის და ეს გზავნილები გაჟღერდა. არაფერი დაფარული არ ყოფილა, მათ შორის კონგრესმენების წერილშიც.

– გაქვთ მოლოდინი, რომ საქართველოს ხელისუფლების მიმართ ამერიკის მხრიდან კიდევ უფრო გაძლიერდება კრიტიკული გზავნილები? დაგრჩათ თუ არა ეს შთაბეჭდილება იმ შეხვედრებიდან, რომლებიც აშშ-ში გამართეთ?

– შესაძლებელია. მეც მგონია, რომ კრიტიკა გაგრძელდება და კიდევ უფრო ძლიერი გზავნილები იქნება ამერიკისგან გაჟღერებული, იმიტომ, რომ რეალურად საქართველოში არის პოლიტიკური კრიზისი და კიდევ უფრო ღრმავდება ეს კრიზისი.

– ხომ არ გეგმავთ მორიგ ვიზიტებს, მათ შორის ევროპის ქვეყნებშიც?

– რასაკვირველია. ჩვენ გავაგრძელებთ თანამშრომლობას ჩვენს პარტნიორებთან. გავაგრძელებთ მოთხოვნას, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე გაძლიერდეს ზეწოლა იმისათვის, რომ საქართველოში ჩატარდეს პროპორციული არჩევნები.

– სასამართლოს თემასთან დაკავშირებით რა პოზიცია ჰქონდათ ამერიკელ პარტნიორებს?

– მძიმე პოზიცია აქვთ ამ საკითხზეც. მართლმსაჯულება არის ზუსტად ის საკითხი, როდესაც საქართველოში მიტაცებულია სახელმწიფო ინსტიტუტები. ეს მომენტია და არაერთხელ გაჟღერდა, მათ შორის საჯაროდ ევროკავშირისა და აშშ-ის მიერ. ამიტომ ესეც ერთ-ერთი ქვაკუთხედია იმ მხრივ, რომ ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტები და სასამართლო არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის დავალების შესასრულებლად.

– ბოლოს გვითხარით, ვისთან გქონდათ შეხვედრებია? ცნობილია, რომ კონგრესში გქონდათ შეხვედრები. კიდევ რომელ ინსტიტუციებში იყავით?

– შეხვედრები გვქონდა კონგრესში, სენატში, ასევე სახელმწიფო დეპარტამენტში, რომელსაც ესწრებოდა უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი, ის, ვინც რეგიონის საკითხებზე მუშაობს. ამასთანავე, შეხვედრები გვქონდა ყველა კვლევით ორგანიზაციაში. „აი-არ-აი“-ში და ასევე ძალიან ცნობილ მედიაკომპანიებში, რომლებიც საქართველოს შესახებ წერენ.

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ბიძინა ივანიშვილს საქართველოდან გაქცევა მოუწევს“

ნონა ცაბაძე

ფეისბუქის მიერ „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული გვერდების გაუქმების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი დიმიტრი ბიძინაშვილი პასუხობს.

– ფეისბუქგვერდების გაუქმებამ „ოცნება“ დიდ საგონებელში ჩააგდო. ასე რატომ შეუტიეს დასავლეთიდან?

– ის ტროლების ქარხანა, რომელზეც აქამდეც ვსაუბრობდით, ეკუთვნოდა ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ და ამართლებდა მათ ქმედებებს.

– „ოცნება“ აცხადებს, რომ არაფერ შუაშია და თითს ოპოზიციისკენ იშვერს.

– იყო ასეთი გვერდი – „ბიძინა ივანიშვილი მედია“, სადაც იდებოდა ხოლმე ბიძინა ივანიშვილის აქტივობები, მისი მოქმედებები და ასე შემდეგ. ეს გვერდიც გამქრალია, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს გვერდიც ქმედით კავშირში იყო იმ გვერდებთან, რომლებიც გააუქმა ფეისბუქმა.

– რატომ დაიწყო ასეთი აქტიური შეტევა?

– დასავლეთმა ამ ფეიქგვერდებით დაინახა, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ანტიდასავლური განწყობისაა და პირდაპირ თქვეს ამ ადამიანებმა, რომ „ქართული ოცნება“ აწარმოებდა პრორუსულ ნარატივს და ანტიდასავლურ პროპაგანდას ეწეოდა, რაც გამოიხატა ფეისბუქის მიერ დადებულ დასკვნაში, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ გვერდები, რომლებიც ხელისუფლებას ამართლებდნენ და რომლებიც ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს თვლიდნენ სწორად, ამავდროულად, დაკავებული იყვნენ პრორუსული განწყობების შექმნასა და პროდასავლური სისტემის ჩამოშლაში.

ამერიკულ წრეებში უკვე პირდაპირ მიდის იმის ტირაჟირება, რომ ამ ადამიანებმა ბიძინა ივანიშვილის ქონების დაყადაღებაც შეიძლება მოახდინონ.

– თქვენ უარყოფით განწყობებზე საუბრობთ, თუმცა ამერიკის ახალი ელჩი აცხადებს, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ასეთი ახლო ურთიერთობა აქამდე არ ყოფილა.

– ეს დიპლომატიური განცხადებებია, ჯერ არ ჩამოსულა ამ ქვეყანაში და პირდაპირ შენიშვნებით ხომ არ დაიწყებს საუბარს. მისი დაჩქარებული წესით დანიშვნა სხვა რამის ნიშანია.

– რის ნიშანია?

– ამერიკამ დაინახა, რომ საქართველოში არის პრორუსული ხელისუფლება, რომელსაც არ სურს ყველაზე მნიშვნელოვანი, დემოკრატია ამ ქვეყანაში. არ სურს, რომ არჩევნების გზით შეიცვალოს ხელისუფლება, არ სურს, რომ საზოგადოებისა და მოქალაქეების ნება იყოს გამოხატული და ისინი არიან მიმართული იმისკენ, რომ შეინარჩუნონ ძალაუფლება.

ეს არის იმ ყველაფრის მიზეზი, რაც ამ ბოლო დროს დასავლეთის მხრიდან ხდება, თუნდაც ფეისბუქგვერდების გაუქმება.

– ამ გვერდების შექმნასა და შემდეგ მის მუშაობაში მილიონობით ლარი იხარჯებოდა.

– რა თქმა უნდა, იხარჯებოდა. 300 ათას დოლარზე მეტია მხოლოდ რეკლამებში დახარჯული, რაც მილიონ ლარზე მეტია და ეს მხოლოდ იმ გვერდების დასპონსორებაში, რომლებიც გააუქმა ფეისბუქმა, თორემ უამრავი გვერდი ჯერ კიდევ გასაუქმებელია.

თქვენ წარმოიდგინეთ, მარტო ამ გვერდების უკან რამდენი ადამიანი დგას, რამდენი ბოტი, რამდენი ტროლი. მთელი სისტემა ჰქონდა ბიძინა ივანიშვილს აგებული და მილიონობით ლარს ხარჯავდა წლიდან წლამდე, რომ საზოგადოებაში შეექმნა არასწორი განცდა. იმის მაგივრად, რომ ეს ფული საზოგადოებაზე, ხალხზე, ქვეყნის კეთილდღეობაზე დაეხარჯა, უკეთესი მომავლის შექმნაზე დაეხარჯა, ეს ადამიანი ხარჯავდა იმაში, რომ უიმედობა ყოფილიყო ქვეყანაში. ბოლოს საერთოდ გამოვიდა და გვითხრა, პასპორტებს გაგიკეთებთ და წადით ამ ქვეყნიდანო.

– ამერიკისა და დასავლეთის ასეთი გააქტიურება რას მიანიშნებს, საით მიდის პროცესები?

– პროცესები მიმართულია ერთადერთი მიზნისკენ, რომ ბიძინა ივანიშვილი არის დასრულებული! ჩვენმა პარტნიორებმა ბიძინა ივანიშვილს უთხრეს, რომ თუ ის ხელს შეუშლის დემოკრატიული პროცესების განვითარებას ამ ქვეყანაში, თუ ის საზოგადოებს წაართმევს არჩევანის უფლებას, თუ ის არ ჩაატარებს დემოკრატიულ არჩევნებს, მაშინ მისი ქონება იქნება დაყადაღებული!

– სერიოზული პანიკაა დღეს „ოცნებაში“, ზოგი არც იმას გამორიცხავს, რომ ივანიშვილს გასაქცევად გაუხდეს საქმე. ეს სიტუაცია კიდევ უფრო მეტ შეცდომას ხომ არ დააშვებინებს?

– რა თქმა უნდა, ასე იქნება. ამ ადამიანებმა როდესაც შიდა კვლევები ჩაატარეს, ჯერ კიდევ მაშინ დაინახეს ძალიან კარგად, რომ მათ არანაირი ნდობა არ გააჩნიათ საზოგადოებაში და ამ კვლევების შემდეგ ყოველდღიურად უშვებენ ისინი შეცდომას.

ახლა გამოდიან და იძახიან, რომ ოპოზიციის იყო ის ექაუნთები, რომლებიც ფეისბუქმა გააუქმა. როგორ წარმოგიდგენიათ, ოპოზიცია მილიონობით ლარს ხარჯავდა იმაში, რომ საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოეხდინა?! ეს ხომ მარაზმია!

ასეთ შეცდომებს ყოველდღე უშვებენ. აგერ კობახიძე გააგზავნა ივანიშვილმა ამერიკაში საქმის დასალაგებლად და ისეთები ილაპარაკა იქ, რომ ყველაფერი ყირამალა დააყენა. მას შემდეგ კიდევ უფრო დიდი ზეწოლა დაიწყეს ჩვენს ხელისუფლებაზე.

– დროებით ტაიმაუტი გაქვთ აღებული, როდიდან განაახლებთ საპროტესტო აქციებს?

– ჩვენ დროებით შევწყვიტეთ ხმაურიანი პროტესტი ბოლო დროს განვითარებული პროცესების გამო, ვგულისხმობ ლუკა სირაძის გარდაცვალებას. ეს მთელი ქვეყნის ტრაგედია იყო. ამის გამო ვცდილობდით, თავი შეგვეკავებინა, თუმცა ისევ ვიწყებთ აქტიურ პროცესს, მათ შორის ქუჩაში.

ყოველდღიურ რეჟიმში გავაპროტესტებთ იმ პრობლემებს, რომლებიც ქვეყანაშია. ბიძინა ივანიშვილმა ყველაფერი წაგვართვა და არ ვაპირებთ, რომ მთელი ქვეყანა მას დავუთმოთ. ჩვენ მას დავაბრუნებინებთ მიტაცებულ სახელმწიფოს, რომელიც ეკუთვნის ქართველ ხალხს. მას, უბრალოდ, გაქცევა მოუწევს ამ ქვეყნიდან.

მე მივმართავ „ქართული ოცნების“ წევრებს, ივანიშვილი გაიქცევა, კალაძეც გაიქცევა და კიდევ რამდენიმე, მაგრამ თქვენ რას აპირებთ, თქვენ ხომ ამ ქვეყანაში უნდა დარჩეთ?! ნუ ჩაჰყვებით ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკურ სამარეში.

მათ მოეთხოვებათ პასუხი. როდესაც დამოუკიდებელი სასამართლო იქნება, ყველა მათგანი წარდგება ამ სასამართლოს წინაშე და ბიძინა ვერ უშველის.

ამიტომ, სანამ დროა, გონს მოეგონ.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

რომან გოცირიძე: „ოცნება“ პროპორციულ სისტემაზე გადასვლას არც 2024-ში აპირებს“

ნათია ხურცილავა

საპარლამენტო ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რომან, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ხელისუფლების ბოლო შეთავაზება, რომ 100 დეპუტატის არჩევა პროპორციული სისტემით მოხდეს და 50 დეპუტატის – მაჟორიტარულით, ოპოზიციისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. რა შეიძლება შემდეგი ნაბიჯი იყოს ან ოპოზიციის, ან ხელისუფლების მხრიდან?

– ხელისუფლება იმ სტადიამდე მივიდა, რომ ყველა მისი ნაბიჯი სერიოზულ რისკებს უქმნის ქვეყანას. ახლა მათი მთავარი ამოცანა ნებისმიერი გზით ძალაუფლების შენარჩუნებაა. ეს კაცი არაფერზე უკან დამხევი არ არის. ძალიან სახიფათოა, რადგან ის არავის, არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ, ანგარიშს არ უწევს. მიუხედავად ჩვენი დასავლელი პარტნიორების მკაცრი განცხადებებისა და მოწოდებებისა, სრულიად უგუნური წინადადებით მოგვმართეს.

არათუ 2020 წელს, 2024 წელსაც არ აპირებენ პროპორციულ სისტემაზე გადასვლას. „ქართულ ოცნებას“ უმრავლესობა რომ ჰყავდეს პარლამენტში, ამასაც დაუფიქრებლად გააკეთებდა. ახლა ამაში უნდათ პარლამენტის, ოპოზიციის ჩათრევა. ეს იმდენად არასერიოზულია, რომ ყოველდღე კარგავენ რეალობის შეგრძნებას.

ვინც ამ იდეებს ახმოვანებს, ივანიშვილის პაიკები არიან, მათ არავინ არაფერს ეკითხება. მიუხედავად იმისა, რომ მათ პოლიტიკურ გონიერებაზე დიდი აზრის არ ვარ, ისინიც კი ხვდებიან, რომ ეს წინადადება აბსურდია, მაგრამ ივანიშვილს უარს ვერ ეუბნებიან.

ივანიშვილს ქვეყანა ღრმა კრიზისში უფრო და უფრო შეჰყავს, ამიტომ არჩევნებამდე დარჩენილი დრო მუდმივი პროტესტი იქნება, მათ შორის საერთაშორისო ზეწოლის თანხლებით. ისედაც ჩამოშლილი „ქართული ოცნება“ შემოძონძილი მივა არჩევნებამდე, არჩევნებზე კი არავითარი შანსი არ ექნებათ. თუ არჩევნების გაყალბებაზე იფიქრებენ, მაშინ ხალხი იძულებული იქნება, ძალაუფლების უზურპატორი სხვა მეთოდებით გაუშვას.

– რა მეთოდებით?

– იმ მეთოდებით, რომლებიც მრავალჯერ არის ნაცადი სხვადასხვა ხალხის მიერ. მაგალითად, სომხეთში არცთუ დიდი ხნის წინ მშვიდობიანად გაუშვეს ხელისუფლება. ასე მოხდა უკრაინაშიც. ხალხი ხელისუფლების უკანონოდ მითვისებას არავის პატიობს.

– მაღალი პოლიტიკური ტემპერატურის შენარჩუნება რაში აწყობს ხელისუფლებას, თუ სანამ გაუვა, ეცდება, უკან არ დაიხიოს?

– ორივეა – ერთი, აბსოლუტური უგუნურება, პოლიტიკური გამოუცდელობა. არსებულ რეალობას ადეკვატურად ვერ აფასებენ. მეორე, როგორც ჩანს, რუსეთის იმედი აქვთ, რომ არჩევნებში, ხელისუფლების შენარჩუნებაში დაეხმარება.

შვიდი წლის განმავლობაში ივანიშვილს პუტინი საერთოდ არ უხსენებია. ამ ფონზე ჩვენ ვხედავთ, როგორ გამომწვევად იქცევა რუსეთი, ანგარიშს არ უწევს აბსოლუტურად არავის. ვაჟა გაფრინდაშვილს ყოველგვარი საღი აზრის გარეშე მიუსაჯა 1 წლითა და 9 თვით პატიმრობა. დამცინავად გვიცხადებენ რუსული კულტურის ცენტრის თბილისში გახსნაზე. ამით დაგვცინიან და აბუჩად გვიგდებენ, ცხადია, ქვეყნის ხელისუფლებასთან ერთად. რუსეთთან ხელისუფლება ნებისმიერ დათმობაზე მიდის. ღალატის ტოლფასი დათმობა ანაკლიის პროექტის გაუქმება იყო. სანამ ეს ხელისუფლება იქნება, ანაკლიის პროექტი არ განხორციელდება.

– მიუხედავად ამერიკის სახელმწიფო მდივნის რჩევისა?

– დიახ. ამ ყველაფერს კარგად ხედავს დასავლეთი ხელისუფლების ქმედებებში. თუ აქამდე ხალხს ეჭვი ეპარებოდა ხელისუფლების პრორუსულ ორიენტაციაზე, ეს ეჭვები თავად ხელისუფლებამ გაამყარა მისივე ქმედებებით.

– როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?

– მართალია, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ისტორიას ბარდება, მაგრამ ის ეცდება უკანონო გზებით, არჩევნების გაყალბებით ძალაუფლების შენარჩუნებას, ასევე ეცდება პოლიტიკური რეპრესიებით, როგორც ახლა ხდება, ძალაუფლების მობილიზებასა და შენარჩუნებას.

ეს ყველაფერი სახიფათო სახეს იღებს. თუ ასე გაგრძელდება, ეს ძალიან მძიმედ დასრულდება „ქართული ოცნებისთვის“.

ანზორ აბრალავა: „ოპოზიციის ნამდვილი სახე ფეისბუქის ყალბი გვერდების გარეშეც ვიცით“

მარიამ მჭედლიშვილი

ფეისბუქის ადმინისტრაციამ დაბლოკა 400 გვერდი საქართველოში. მათ უკან ყალბი ანგარიშებია. ოპოზიცია ამ გვერდებიდან მომდინარე ტროლინგს ხელისუფლებას უკავშირებს. ტროლები და ბოტები პრორუსული განწყობებითაც გამოირჩეოდნენ. ამ საკითხზე და ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.

– როგორ გგონიათ, დააზიანებს თუ არა ფეისბუკის 400 ფეიკგვერდის აკრძალვა ხელისუფლებას?

– ფეისბუკს თავისი წესები აქვს. ის ებრძვის ყალბ გვერდებს, ფეიკ-ინფორმაციებს. გასაკვირია ე.წ. ოპოზიციის მიერ ატეხილი წივილ-კივილი ამ თემაზე. ამ ოპოზიციონერებს ჰგონიათ, რომ თუ ვინმე ფარული წყაროებიდან არ დაწერს მათზე რამეს, ხალხი შეიყვარებს. რა შუაშია ფეისბუკი და ინტერნეტი? ოპოზიციის უმრავლესობის ნამდვილი სახე ფეისბუკის ყალბი და ნამდვილი გვერდების გარეშეც ვიცით. ამ პოლიტიკოსების ბიოგრაფიებიც ცნობილია და ახლანდელი დესტრუქციული მოქმედებებიც. ეს ხალხი ანგრევს სახელმწიფოს.

– სახელმწიფოს ნგრევის მორიგ სცენარზე ადრეც გისაუბრიათ. შეჩერდა ეს პროცესი?

– არაფერი შეჩერებულა. თუ რამე დროულად არ გამოსდით, იმიტომ, რომ ხალხი ვერ აიყოლიეს. ხდება დისკრედიტებული და დესტრუქციული ძალების უპრეცედენტო თავმოყრა. მძიმე დანაშაულების ჩამდენი ოპოზიციონერები აგრძელებენ ქუჩის აქციებს. ეგ იგივეა, ბერლინის ქუჩებში რომ ჰიტლერი და ჰებელსი გამოსულიყვნენ და მოთხოვნები დაეყენებინათ. სააკაშვილის მეუღლე სანდრა რულოვსი რომ ცოტნე გამსახურდიაზე განცხადებას გააკეთებს, ეს ხომ ცინიზმია!

– იქნებ თანაგრძნობას უცხადებს?

– რულოვსი როგორ გამოუცხადებს თანაგრძნობას! სანდრა რულოვსი ახლაც პოლიტიკაშია და, როგორც ვატყობ, ფარულად ყოველთვის პოლიტიკაში იყო. მისი ქმარი რომ პრეზიდენტობდა, რა დღეში ჩააგდეს ზვიად გამსახურდიას ოჯახი! ცოტნე ციხეში ჩასვეს და იქ ისეთ დღეში ჰყავდათ, ცოცხალი ძღივს გამოვიდა. რულოვსი ისევე მონაწილეობს სახელმწიფოს ნგრევის პროცესში, როგორც სხვა ოპოზიციონერები. უბედურება ისაა, რომ ისინი ყველანი ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის ლოზუნგებს ეფარებიან.

– ოპოზიცია რეგიონებშიც დადის და ძირითადად სამართლიან არჩევნებს ითხოვს.

– ერთი და იგივე ჯგუფი დადის ყველგან. გააკეთეს პოლიტიკური თოჯინა და დაატარებენ აქეთ-იქით. სასაცილოები გახდნენ. ხალხიც დასცინის ამ ვაიოპოზიციას.

– „ქართული ოცნებაც“ არ არის კარგ დღეში. საგარეო მინისტრ დავით ზალკალიანს ხელისუფლების სახელით უხდება საჯაროდ თავის მართლება ამერიკულ მედიაში დაბეჭდილი სტატიის გამო. საქართველოს ხელისუფლება დადანაშაულებულია პრორუსული კურსის გატარებაში.

– ნაცმოძრაობისა და ევროპული საქართველოს ლობისტები გააქტიურდნენ. ამ ლობისტებს უნდა აჩვენო ბოკერიასა და სხვების ცხელ გულზე გამონათქვამები, მაგალითად, რუსთავი 2-ის პროცესის წაგებაზე სტრასბურში. „ქართულ ოცნებას“ რაღაც ეშლება, მაგრამ ყველაზე დიდი რუსეთუმეები გრიგოლ ვაშაძე, გიგა ბოკერია და მათნაირები არიან. საქართველოს საზოგადოებას მათზე ინფორმაცია აქვს. საჭიროა მუშაობა უცხოელ კოლეგებთანაც.

– რატომ გგონიათ, რომ დასავლეთის გავლენიანი წრეები, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებენ, ამ ოპოზიციის მხარდამჭერები არიან? ეს მხარდაჭერა არ ჩანს.

– ამათი მხარდაჭერა როგორ შეიძლება! მე ლობისტებზე ვილაპარაკე. დასავლეთი გამოთქვამს შეშფოთებას, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შერიგებისკენ, დალაპარაკებისკენ მოუწოდებს. აქ არსებობს შავი ხვრელები. მთავარი უნდა იყოს მართლმსაჯულება.

– მართლმსაჯულების აღსრულება იმათ მიმართ, ვინც დანაშაული ჩაიდინა?

– რასაკვირველია. დასავლეთში არ უნდა ჰქონდეთ სრული ინფორმაცია იმ ოპოზიციონერებზე, რომლებიც დღეს ამდენს ყვირიან. ბევრ მათგანს ძმიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ არ ისჯება. ზოგიერთი ხანდაზმულობის ვადის გასვლას ელოდება. ეს უსამართლობაა. არ შეიძლება, სახელმწიფო სხვა მოქალაქეებს სჯიდეს, პოლიტიკოსებს კი პასუხს არ სთხოვდეს.

ჩვენმა ხელისუფლებამ უცხოელ პარტნიორებს სწორი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს. ამ ხელისუფლების დიდი ნაკლია ჩაკეტილობა. ეს ხალხი პროფესიულ, აკადემიურ წრეებს არ ეკარება. ჰყავთ ერთი-ორი ექსპერტი და მათ იმედზე არიან, არადა, რჩევები სჭირდებათ, აკლიათ ინიციატივები სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა სფეროებში. საზოგადოებისთვისაც უცნობია ბევრი პროცესი.

– საზოგადოებას აღელვებს ცხინვალში დატყვევებული ექიმის ვაჟა გაფრინდაშვილის ბედი. არასაკმარისი ინფორმაცია გვაქვს იმაზე, თუ რას აკეთებს ამ მიმართულებით ხელისუფლება.

– არ შეიძლება, ნორმალურ ადამიანს ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლება არ უნდოდეს. ეს კაცი ტყვეა. სხვა მოქალაქეებიც ნუ დაგვავიწყდება. იმ რეჟიმში ცხოვრობენ ოსები. ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლებაზეც უნდა ვიმუშაოთ და ის ოსებიც უნდა დავიცვათ, რომლებიც საოკუპაციო ადმინისტრაციის წნეხის ქვეშ იმყოფებიან. ეს ტაბუდადებული თემაა.

– ოპოზიციის აქციების მიმართ რა მოლოდინი გაქვთ?

– ახლა ხომ ამბობენ, პროპორციული არჩევნები გვინდაო. პროპორციული რომ დამტკიცებული იყოს, მაშინ შერეულს მოითხოვდნენ, პროტესტისთვის სხვა საბაბს მოიგონებდნენ.

ნაცმოძრაობა რევანშს პირველად არ ცდილობს. წინა წლებში ხალხის მობილიზებას რუსთავი 2-ც ცდილობდა. ვერც ნაციონალების ლიდერებმა და ვერც ნაცმოძრაობის პარტიულმა ტელევიზიამ ხალხი ვერ გამოიყვანა. ახლა სხვა პარტიები დაიყენეს, მაგრამ შედეგი იგივე მიიღეს.

ესენი არ გაჩერდებიან. მათი მიზანია ქვეყნის მიყვანა რევოლუციურ სიტუაციამდე. ვერ ხვდებიან, რომ ხალხს ვერ იყოლიებენ, იმიტომ, რომ აცდენილი არიან დროსა და სივრცეში.

სად გადასვა რუსეთმა ჯაშუშების ახალი დესანტი

ტერმინი „პერსონა ნონ გრატა“ რუსი დიპლომატების აღმნიშვნელი იარლიყი გახდა. ბოლო წლების განმავლობაში არაერთ რუს დიპლომატს თავის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის გამო მასპინძელი ქვეყნიდან შინ დაბრუნება მოუხდა. მათი გაძევება უმეტესად სხვადასხვა სახელმწიფოში ჯაშუშურ და დესტაბილიზაციისკენ მიმართულ საქმიანობას უკავშირდება.

რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელთა ბოლოდროინდელი მავნებლობის სია უსასრულოა. არეულობის მოწყობის კამპანია მოლდოვაში, იარაღით მოვაჭრის მოწამვლა ბულგარეთში, სახელმწიფო გადატრიალების უშედეგო მცდელობა მონტენეგროში, გერმანიაში საქართველოს მოქალაქის, ეთნიკურად ჩეჩენი ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობა, ჩეხეთსა და სერბეთში ჯაშუშური ქსელების შექმნა, გასულ წელს ბრიტანეთში „ნოვიჩოკით“ ყოფილი რუსი ჯაშუშის სერგეი სკრიპალისა და მისი ქალიშვილის მკვლელობის მცდელობა – ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ მავნე ქმედებების, რომლებიც „გრუ“-ს (რუსეთის სამხედრო დაზვერვა) 29155-ე დანაყოფმა ევროპის ქვეყნებში განახორციელა.

მიუხედავად მტკიცებულებებისა, რომ ამ ყველაფერში რუსეთის სპეცსამსახურების ხელი ერია, ყველა შემთხვევა რატომღაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილებოდა, თუმცა ახლა დასავლური უსაფრთხოების სამსახურები ამ ოპერაციებს კოორდინირებულ და კვლავაც აქტიურად მიმდინარე საფრთხის შემცველ პროცესად აფასებენ.

რუსული სპეცსამსახურების ამგვარი ბინძური „თამაშების“ ფონზე არ არის გასაკვირი უნგრეთში გამოწვეული უკმაყოფილება, რაც რუსეთის „საერთაშორისო საინვესტიციო ბანკის“ სათავო ოფისის მოსკოვიდან ბუდაპეშტში გადატანას მოჰყვა. უნგრელმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა რუსეთის მიერ სრულად კონტროლირებადი ბანკის ბუდაპეშტში „გადასროლა“ ცალსახად ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უდიდეს გამოწვევად შეაფასეს და მას „პუტინის ტროას ცხენი“ უწოდეს.

„საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი“ 1970 წელს საბჭოთა კავშირმა დააარსა და მას შემდეგ იგი ოფიციალურად რუსეთის სახელმწიფო უწყებას (ინსტიტუტს) წარმოადგენს. მისი შექმნის მიზანი იყო კომუნისტური ბლოკის წევრ სახელმწიფოებთან კავშირების განმტკიცება. ამჟამად, ბანკის 9 წევრი ქვეყნიდან 5 – ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და ჩეხეთი ევროკაშირისა და ნატოს წევრი სახელმწიფოები არიან. ეკონომიკურ ინსტიტუტში ასევე მონღოლეთი, ვიეტნამი და კუბა ერთიანდებიან.

2000 წელს პირველი ვადით უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა არასაკმარისი გამჭვირვალობის საბაბით ბანკში წევრობა შეწყვიტა, თუმცა, რაც 2012 წელს პუტინმა ფინანსური ინსტიტუტის რეფორმირება მოახდინა, უნგრეთი მასში ხელახლა გაწევრიანდა.

ბანკის სათავო ოფისმა უნგრეთში გადაბარგება სექტემბერში დაასრულა და მომავალი წლიდან იგი სრული დატვირთვით დაიწყებს ფუნქციონირებას. ადმინისტრაციული პერსონალი სხვადასხვა ქვეყნის ასამდე წარმომადგენლით დაკომპლექტდება. მათგან ბევრი მაღალი თანამდებობის პირის ბიოგრაფია და წარსული საქმიანობა უამრავ შეკითხვას აჩენს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

გიორგი სოლოღაშვილი: „ცოტნემ უმიზეზოდ დამარტყა ხელი, ამოვიღე დანა და ეგრევე დავარტყი მეც“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ამის გამო დაუწყიათ ვანო კორინთელის მიერ მოტანილი ღვინის დალევა, რაზედაც განაწყენებულა ცოტნე, დამჯდარა ცალკე, სუფრისგან მოუთხოვია მის მიერ მიტანილი ღვინო და დაუწყია დალევა ცალკე მიუხედავად იმისა, რომ ყველა სუფრაზე მჯდომს უთხოვია სუფრასთან მისვლა.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როდესაც ყველა ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფილა, ერთ-ერთ სუფრაზე მჯდომ აზერბაიჯანელ პირს უთქვამს ძმები ქვათაძეებისთვის, რომ აღნიშნული სუფრიდან ეპატიჟებოდა მის სახლში, ვინაიდან გარკვეული სიმპათიები გამოუხატავს ახალგაზრდების მიმართ. აღნიშნულზე ცოტნეს ირონიულად უთქვამს, წამოდით, მეც გამოგყვებით, გაგაცილებთო, რაზედაც გიორგი ქვათაძეს გაცილებისთვის ცოტნესთვის გადაუხდია მადლობა და უთქვამს, რომ არსად წასვლას არ აპირებდა, ვინაიდან ბიძასთან ერთად იხსენებდა გარდაცვლილ ბიძას.

ამის შემდეგ ცოტნე ამდგარა და წასულა, რაზედაც ყველა სუფრაზე მჯდომს შვებით ამოუსუნთქავს, ვინაიდან მთელი სუფრა ცოტნეს უხეში და უზრდელი ქცევებით და საქციელებით ყოფილა დაძაბული. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როდესაც ქეიფს მორჩენილან და გარეთ გამოსულან უბანში, ამ დროს ცოტნეც გამოსულა სახლიდან და გიორგი ქვათაძისთვის უთქვამს ხალხში, არასწორი ბიჭი ხარო, რაზედაც კახას და იქ მყოფებს უთხოვიათ როგორც გიორგისთვის, ისე ცოტნესთვის, რომ დაწყნარებულიყვნენ და არაფრის გამო არ გადაეზარდათ სიტუაცია ჩხუბში, გიორგის კი უთხოვია კახასთვის, რომ მხოლოდ კითხვას დაუსვამდა ცოტნეს, თუ რას უშავებდა და რომ უწოდა არასწორი, რაზედაც უცებ ცოტნეს ორჯერ ზედიზედ ხელი დაურტყამს გიორგისთვის თავისა და სახის არეში, თან შეუგინებია დედის მისამართით.

ამ დროს ცოტნესთან ახლოს მდგარა ტატო ღარიბაშვილი, რომელსაც მეგობრის ცემის დანახვაზე ცოტნესთვის თავში ჩაურტყამს თან ნაქონი ყავარჯნები, რაზედაც გამართულა ხელჩართული ჩხუბი და ამ ჩხუბის დროს, როგორც კახამ მითხრა, დავინახე, რომ გიორგი ზემოდან ქვემოთ იქნევდა ხელებს ცოტნეს სახისკენ და თავისკენო, მაგრამ, ვერ დავინახე, თუ რა ეჭირა ხელშიო.

ერთ მომენტში გიორგი გვერდით გაუთრევია ძმას თორნიკეს, ხოლო დანარჩენებმა გავაშველეთ ტატო და ცოტნეო, შემდეგ რამდენიმე მეტრის გავლისას ისევ ტატოსა და ცოტნეს შორის დაწყებულა ჩხუბი, რომლის დროსაც ორივე მათგანი წაქცეულა. შემდეგ ტატო ამდგარა ფეხზე და ყველა ერთად ანუ კახა, გიორგი და თორნიკე ქვათაძეები და ტატო ღარიბაშვილი გაქცეულა შემთხვევის ადგილიდან ისე, რომ ტატოს ყავარჯნები ადგილზე დარჩენია.

მათ გაუჩერებიათ იქვე სადღაც ტაქსი, რითაც წასულან შემთხვევის ადგილიდან. კახას ტაქსში უნახავს, რომ სისხლიანი იყვნენ მთლიანად ყველანი, რაზედაც გაკვირვებულს გიორგისთვის უკითხავს, ბიჭო, დანას ხომ არ ურტყამდი თავშიო, რაზედაც გიორგი დათანხმებულა ანუ როდესაც კახას დაუნახავს, რომ გიორგი ზემოდან ქვემოთ იქნევდა ხელს, მას ხელში ნამდვილად დანა ჭერია და ამის გამო იყო ყველა გასისხლიანებული ცოტნეს სისხლით.

როგორც კი კახას დანის ხმარების ფაქტი გაუგია, შეშინებულან და წასულან დუშეთში, თუმცა არ ვიცი, ვინ წაიყვანა, რით წავიდნენ და ვისთან მივიდნენ....

აქვე მოგახსენებთ, რომ როგორც კახამ მითხრა, თორნიკე ქვათაძესა და თავად კახას ცოტნესთვის ხელი ან რაიმე საგანი არ დაურტყამთ, ისინი აშველებდნენ მათ, მხოლოდ ტატოს ჩაურტყამს ყავარჯნები და ფიზიკურად გასწორებია, ხოლო გიორგის დაურტყამს დანა“, – ყვება ჩვენებაში საქმეზე დაკითხული მ.ხ, რომლის ჩვენებაც „ინტერპრესნიუსმა“ ექსკლუზიურად მოიპოვა.

ამავე სააგენტომ მოიპოვა გალის ქუჩაზე მდებარე ავტოსახელოსნოს ხელოსნის, დ.ა.-ს ჩვენება, რომელიც ყვება, რომ დაინახა, როგორ მისდევდა ცოტნე გამსახურდია ხელჯოხით წვერებიან მამაკაცს, თუმცა წვერებიანმა მამაკაცმა მას მარცხენა ხელით მოქაჩა კისერში, ამავდროულად, ფეხი დაუდო და გადაქაჩა უკნიდან, მარჯვენა ხელი, რომელშიც ეჭირა დანის მსგავსი საგანი, რამდენიმეჯერ მოუქნია და დაარტყა.

❖ ❖ ❖

– არანაირი განზრახ დანაშაული არ ყოფილა, სრულიად უმიზეზოდ დამარტყა ხელი ცოტნემ და ამოვიღე დანა და ეგრევე დავარტყი მეც.

ეს განცხადება გუშინ, 22 დეკემბერს, გაკეთა გიორგი სოლოღაშვილმა.

მან თქვა, რომ შელაპარაკება სუფრაზე დაიწყო.

– ვსვამდით ღვინოს და მოგვივიდა შელაპარაკება. როცა მოვდიოდი გზაში, ცოტნემ დამარტყა ხელი და ამოვიღე დანა და ეგრევე დავარტყი, მე ვარ დამნაშავე და ვაღიარებ, არანაირი განზრახ დანაშაული არ ყოფილა, სრულიად უმიზეზოდ დამარტყა ხელი ცოტნემ და ამოვიღე დანა და ეგრევე დავარტყი მეც, – განაცხადა სოლოღაშვილმა.

ცოტნე გამსახურდიას ადვოკატი ამირან გიგუაშვილი თვლის, რომ ინფორმაცია, რომ ცოტნე გამსახურდია იყო კონფლიქტის ინიციატორი და დაპირისპირება ღვინის ხარისხს უკავშირდებოდა, ბრალდებულების მიერ შემოთავაზებული ვერსიაა და არ შეიძლება დამაჯერებელი იყოს.

მისი აზრით, წარმოუდგენელია, რომ ღვინის ხარისხზე სუფრულ გარჩევას ამგვარი სისასტიკე მოჰყოლოდა.

– სასამართლომ უნდა მიიღოს ის გადაწყვეტილება, რასაც კანონი ითვალისწინებს და კანონი ითვალისწინებს, რომ როდესაც ბრალდებულები არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან და ემალებიან, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა იქნეს გამოყენებული, მაგრამ ჩვენ სხვა ინტერესები გვაქვს, რომ მაქსიმალური სიცხადე იყოს შემოტანილი ამ საქმეში.

გარკვეული ინფორმაციების გაშუქება ხდება, რომ ცოტნე იყო ინიციატორი კონფლიქტის და ღვინის ხარისხს უკავშირდებოდა, ეს ვერსია არის ბრალდებულის მიერ შემოთავაზებული და არ შეიძლება დამაჯერებელი იყოს.

საბედნიეროდ, იმედი გვაქვს, ცოტნე მალე იქნება კონტაქტური და მეტ სიცხადეს მოჰფენს ამ კონკრეტულ შემთხვევას.

სისასტიკე, რომელიც მის მიმართ განხორციელდა, არ იყო ერთი ადამიანის მიერ ჩადენილი. შეუძლებელია, ერთი ადამიანის მიერ ყოფილიყო ჩადენილი. შეუძლებელია, ყავარჯნიან ადამიანს მიეყენებინა ასეთი დაზიანებები და მეორეც, უბრალოდ, წარმოუდგენელია, რომ ღვინის ხარისხზე სუფრულ გარჩევას ამგვარი სისასტიკე მოჰყოლოდა, მით უმეტეს, იქ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ ჩარევა და გაშველება, – განაცხადა ადვოკატმა გიგუაშვილმა.

დაკავებულთაგან ერთ-ერთი, პეტრე ყუფარაძე, ცოტნე გამსახურდიას მეზობელია და სწორედ მასთან აკავშირებდა ნაცნობობა.

ყუფარაძეს გამოძიება დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავება. ყუფარაძის ადვოკატი ამბობს, რომ მის დაცვის ქვეშ მყოფს დანაშაული არ დაუმალავს, იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ მისი დახმარებით მოხვდა დაზარალებული სამედიცინო დაწესებულებაში:

– ვერ შეატყობინებდა ამ ფაქტს, იმიტომ, რომ ესენი არიან მეზობლები, ბავშვობის მეგობრები და, როცა ეს ინციდენტი მოხდა, გარეთ გამოვიდა და ჩაერთო ჩხუბში გაშველების მიზნით, როგორც თვითონ ამბობს, შემდეგ ცოტნე გამოიყვანა ხელკავით და ამ დროს ჩაიკეცა, გახდა ცუდად, ვერ მოახერხა, რომ არ წაქცეულიყო, დააწვინა ასფალტზე, გამოიძახეს პოლიცია, გამოიძახეს სასწრაფო. პოლიცია როცა მივიდა, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თავზე ადგა და პატრონობდა, – განაცხადა ვაჟა არობელიძემ.

სუსმა ქვემო ქართლის მაღალჩინოსანი ლ.ლ. დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსი სპეციალისტი ლ.ლ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ლ.ლ-მ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს, თავის საამოქმედო ტერიტორიაზე, ელექტროშოკის აპარატით უკანონო თევზჭერის მფარველობის გაწევის სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 1.000 ლარი.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

მიწის ნაკვეთების საქმეზე დაკავებულ 2 პირს გირაო შეეფარდა, 4-ს — პატიმრობა

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების საქმეზე დაკავებული 6 პირიდან 2-ს გირაო შეუფარდა, 4-ს კი – პატიმრობა.

ამით რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე პართენიშვილმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა.

კერძოდ, თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსს დავით კავთიაშვილს 25 ათასი ლარის ოდენობის გირაო შეეფარდა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტს ნინო გულბანს –10 ათასი ლარის ოდენობის გირაო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს სოფელ კრწანისის ადმინისტრაციულ ერთეულში ბესიკ ლიპარტელიანს, ასევე მოქალაქეებს რამაზ მარგველანს, ზურაბ ბარბაქაძეს, ვახტანგ ზურაბიანს კი პატიმრობა შეეფარდათ.

წინასასამართლო სხდომა 11 თებერვალს დაინიშნა.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2016-2019 წლებში, ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, სისტემატიურად ამზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენის გზით თაღლითურად ეუფლებოდნენ გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისში და თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთებს.

„ამ ეტაპზე დადგენილია, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრები თაღლითურად დაეუფლნენ 49.644 კვ.მ. ფართობის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, რითაც სახელმწიფოს მიაყენეს დაახლოებით 700 ათასი ლარის მატერიალური ზიანი.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“, მესამე ნაწილის „ა“, „ბ“ და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით. ბრალდებულების მიერ ჩადენილი შესაძლო ქმედება სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სად გადასვა რუსეთმა ჯაშუშების ახალი დესანტი

დასაწყისი მე-4 გვერდზე

„ჯაშუშთა ბუდე“

ექსპერტების და მიმომხილველების უმრავლესობა თანხმდება, რომ „საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი“ ცენტრალურ ევროპაში რუსეთის პოლიტიკური გავლენების გავრცელების ინსტრუმენტი გახდება, რადგან ეკონომიკური ინსტიტუტის საფარით სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება და სხვადასხვა დანაშაულებრივი საქმიანობის ხელშეწყობა მოხდება. აქედან გამომდინარე, უნგრეთში ბანკი პირდაპირ რუსეთის დაზვერვის ერთ-ერთ დანაყოფად მოიაზრება და არცთუ უსაფუძვლოდ.

2012 წელს პუტინმა ბანკის ხელმძღვანელად რუსი დიპლომატი ნიკოლაი კოსოვი დანიშნა, რომლის ოჯახიც რუსულ სპეცსამსახურებთან არის მჭიდრო კავშირში. კომუნისტური რეჟიმის დროს, მისი მამის, ასევე ნიკოლაი კოსოვის სახელი სუკ-ის იმ ოფიცრებს შორის ფიგურირებდა, რომლებიც კრემლმა უნგრეთში საპროტესტო ტალღის ჩასახშობად გააგზავნა. კოსოვის დედა კი თავად რუსების მიერ „მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ჯაშუშად“ არის მიჩნეული. ასევე, კომუნისტურ ეპოქაში უნგრეთის დაზვერვაში მუშაობდა ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრი უნგრეთიდან იმრე ბოროში.

უნგრეთის მთავრობამ რუსულ „საერთაშორისო საინვესტიციო ბანკს“, რომელსაც სახელი „ჯაშუშთა ბუდე“ უფრო მიესადაგება, სრული დიპლომატიური იმუნიტეტი მიანიჭა. იმუნიტეტი არა მხოლოდ ბანკის მმართველებს, არამედ თანამშრომლებს და კონსულტანტებსაც შეეხებათ, ასევე ნებისმიერ სტუმარს, ვისაც კი ბანკი მიიღებს რუსეთიდან ან მესამე ქვეყნიდან. დამოუკიდებელი გამოცემის „ინდექსი“-ს ჟურნალისტი ანდრის დეზსო ამბობს, რომ ბანკის თანამშრომლებს და სტუმრებს შეეძლებათ უნგრეთიდან შენგენის ზონაში დაუბრკოლებლად მოგზაურობა. ეს კი განსაკუთრებით არის შემაშფოთებელი იმ ფონზე, რომ დიპლომატიურ საფარს ამოფარებული კრემლის აგენტები ევროპაში არაერთ უკანონო ქმედებაში არიან მხილებულები.

უნგრეთის ეროვნული უსაფრთხოების ყოფილი მაღალჩინოსანი ფერენც კატრეინი აცხადებს, რომ მისთვის ძალიან მტკივნეული თემაა რუსული ბანკის ბუდაპეშტში რელოკაცია. იგი დარწმუნებულია, რომ რუსეთი ეკონომიკურ ინსტიტუტს სადაზვერვო მიზნებისთვის გამოიყენებს, ხოლო ძალოვან უწყებას, სადაც კატრეინი ადრე მუშაობდა, ბანკის საქმიანობის გასაკონტროლებლად კადრები და რესურსი არ ეყოფა.

მისივე თქმით, რუსეთი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო უნგრეთისთვის, არამედ მთელი ევროპისთვის.

„ეკონომიკური შესაძლებლობები“

უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრ პიტერ სიიარტოს განცხადებით, „საერთაშორისო საინვესტიციო ბანკის“ უნგრეთში გადასვლა ქვეყნის საერთაშორისო ფინანსურ პოზიციებს საგრძნობლად გააუმჯობესებს. ასევე, ეკონომიკური და ფინანსური სექტორის მოთამაშეებს განვითარების ახალ შესაძლებლობებს მისცემს.

მართალია, უნგრეთის ხელისუფლება თავისი განცხადებებით პოზიტიური ეკონომიკური მოლოდინების შექმნას ცდილობს, მაგრამ ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ გამოყოფილი კრედიტებით ფინანსურ სარგებელს მხოლოდ უნგრეთის პრემიერ ვიქტორ ორბანთან დაახლოებული ბიზნესმენები მიიღებენ. მეორეს მხრივ და ყველაზე მთავარი, როგორც ამას უნგრელი პოლიტოლოგი და ექსპერტი რუსეთის საკითხებში ანდრაშ რაცი აღნიშნავს, ბანკი უნგრეთის ოფიციალური უწყებების მხრიდან ფინანსურ ზედამხედველობას არ დაექვემდებარება და უკონტროლოდ ოპერირების კარტბლანში ექნება.

– მაშინ, როცა ბანკის სამუშაო ენა რუსულია, ბოლო 49 წლის განმავლობაში ბანკის სათავო ოფისი მოსკოვში იყო, ბანკის თავმჯდომარე რუსეთის მოქალაქეა, შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა რუსებს სრული კონტროლის ბერკეტებს აძლევს. ეს არის საფინანსო ორგანიზაცია, სადაც რუსეთია დომინანტი, – ამბობს უნგრელი ექსპერტი.

პუტინ-ორბანის „განსაკუთრებული ურთიერთობის“ პირობებში დიდია ალბათობა, რომ უნგრეთი ფულის „რუსულ სამრეცხაოდ“ გადაიქცეს, რაც მნიშვნელოვნად შეარყევს საბანკო ინსტიტუტების მიმართ ნდობას არამარტო უნგრეთში, არამედ ევროპასა და მთელს მსოფლიოში. შესაბამისად იზარალებს ქვეყნის ეკონომიკა და საბანკო სექტორი, როგორც ეს მოხდა გასულ წელს დანიური ბანკის, „დანსკე ბანკის“ შემთხვევაში. ამ ბანკის ესტონური შვილობილი რუსეთის სპეცსამსახურებთან და მაღალჩინოსნებთან თანამშრომლობასა და მათ სასარგებლოდ ფულის გათეთრებაში ამხილეს. რუსეთის მთავრობისა და სპეცსამსახურების სასარგებლოდ გათეთრებულმა თანხამ მინიმუმ 9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

მას მერე, როცა ეს ფაქტი გაირკვა, ბანკის აქციები 4%-ით დაეცა და მისი კაპიტალიზაცია 1,6 მილიარდი აშშ დოლარით შემცირდა. რუსეთის პრეზიდენტი პუტინი და მისი უსაფრთხოების სამსახურები, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ფულის გათეთრების მაქინაციაში იყვნენ ჩაბმულნი.

2018 წელს ბრიტანეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტმა „რუსული შავი ფულის“ ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც საერთაშორისო საზოგადოებაში ბრიტანეთის იმიჯისთვის მიყენებულ ზარალზე იყო საუბარი.

ანგარიშის თანახმად, პუტინის კლეპტოკრატები, ფულის გათეთრების მეშვეობით, ბრიტანეთის სახელმწიფო ინსტიტუტებს ნდობას უკარგავენ, ხოლო კორუფციული აქტივების გამოყენებით, ქვეყნის ეკონომიკასა და უსაფრთხოებას უთხრიან ძირს.

სავარაუდოა, რომ კრემლის „საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი“ უნგრეთში, ფულის გათეთრების გარდა, არალეგალური კაპიტალის ბაზად და ტრანზიტად გადაიქცევა.

შეიქმნება ალტერნატიული ფინანსური ქსელი დასავლური სანქციების თავიდან ასაცილებლად და რუსული ძალოვანი უწყებების კანონსაწინააღმდეგო ქმედებების დასაფინანსებლად, რაც ევროგაერთიანებაში და ასევე მსოფლიოს ცალკეულ სახელმწიფოებში დესტაბილიზაციის კერების შექმნას და მათ საშინაო საქმეებში უფრო უხეშ ჩარევას ისახავს მიზნად.

გიორგი დანელია

ბორის ჯონსონმა ბრიტანელ ჯარისკაცებს საშობაო სადილი დაურიგა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა ესტონეთში ტაპას სამხედრო ბაზაზე ნატოს მისიის ფარგლებში მყოფი ბრიტანელი სამხედროები მოინახულა და მათ საშობაო სადილი დაურიგა.

ჯონსონმა დიდი ბრიტანეთის ნატოსადმი ერთგულებას გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ რუსეთ-ესტონეთის საზღვრის დაცვა ალიანსისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

– ძალიან მალე ჩვენს ქვეყანაში ყველა შობას ოჯახის წევრებთან ერთად იზეიმებს, თქვენ კი აქ შორს და ცივ ადგილას იქნებით. ის, რასაც თქვენ აკეთებთ, ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ თქვენი დამსახურებაა, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველას შეუძლია, მშვიდად და უსაფრთხოდ იზეიმოს შობა, – განაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა.

სამხედრო ბაზის მონახულების შემდეგ ბორის ჯონსონი ესტონეთის პრემიერ-მინისტრ იური რატასს შეხვდა.

ესტონეთში ბრიტანული სამხედრო ბატალიონი, სადაც 800-ზე მეტი ჯარისკაცი იმყოფება, 2017 წლიდან არის განთავსებული.

ბლუმბერგმა 3 შტატში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ოფისები გახსნა

დემოკრატიული პარტიის მიერ მხარდაჭერილმა მილიარდერმა, მაიკლ ბლუმბერგმა, რომელიც ამერიკის საპრეზიდენტო მარათონში ჩაერთო, ვისკონსინის, მიჩიგანისა და პენსილვანიის შტატებში საარჩევნო ოფისები გახსნა.

– ჩვენთვის პრეზიდენტ ტრამპზე გამარჯვების ერთადერთი საშუალებაა სწორედ ახლა, წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება იმ შტატებში, სადაც დემოკრატებისა და რესპუბლიკელების კანდიდატთა პოპულარობის მაჩვენებელი თითქმის თანატოლია, – განაცხადა ბლუმბერგმა.

სწორედ ამ სამ შტატში მიღებულმა ხმებმა გაამარჯვებინა დონალდ ტრამპს 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე.



77 წლის ბლუმბერგი 2002 წლიდან 2013 წლამდე ნიუ იორკის მერის თანამდებობას იკავებდა. ის არის ფინანსური ახალი ამბების სააგენტოს დამფუძნებელიც. ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი მან ნოემბერში გამოთქვა.

ამერიკის პრეზიდენტის არჩევნები 2020 წლის 3 ნოემბერს გაიმართება.

ბერლინში ტერაქტი აღკვეთეს

გერმანელმა სამართალდამცავებმა ბერლინში, ბრაიტშაიდპლაცის მოედანზე, საშობაო ბაზრობაზე ტერაქტი აღკვეთეს.

პოლიციელებმა ტერიტორიაზე ორი საეჭვო პირი შენიშნეს. საბუთების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ორივე სირიელი იყო. ერთ-ერთ მათგანს კავშირი ჰქონდა ისლამურ სახელმწიფოსთან. მეორე მათგანზე კი აშშ-ის მიერ საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული ასაფეთქებელ მოწყობილობასთან უკანონო მოპყრობის ბრალდებით.

პოლიციამ ორივე ეჭვმიტანილი დააკავა.

ბერლინის პოლიციამ საეჭვო ნივთიც აღმოაჩინა, რომელიც, შესაძლოა, ამ პირებს დაეტოვებინათ. სავარაუდოდ, ეს თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო.

სპეცოპერაციაში 350 ძალოვანი მონაწილეობდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კიბორჩხალა დამსვენებელს ყურში შეუძვრა და გაიჭედა

არაბთა გაერთიანებული ემირატების ქალაქ აბუ-დაბიში კიბორჩხალა დამსვენებელს ყურში შეუძვრა და შიგნით გაიჭედა.

– პლაჟზე ვიყავი და უცბად ვიგრძენი, რომ ყურში რაღაც შემიძვრა, – განაცხადა დაზარალებულმა, – ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, მხოლოდ რაღაც უსიამოვნოს ვგრძნობდი. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ეს შესაძლოა კიბორჩხალა ყოფილიყო.

რამდენიმე საათის შემდეგ უსიამოვნო შეგრძნებები უკვე ტკივილმა შეცვალა და მან დახმარებისთვის საავადმყოფოს მიმართა. ექიმებმა პაციენტი გასინჯეს და მის მარჯვენა ყურში პატარა კიბორჩხალა აღმოაჩინეს. ის ძლივს ეტეოდა გასიებულ ყურის ხვრელში.

– აუცილებელი იყო უცხო სხეულის დაუყოვნებლივ მოშორება, რათა დაზიანებას გართულება არ მოჰყოლოდა, – განაცხადა ექიმმა, რომელმაც დაზარალებულს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა, – ზღვის არსება ენდოსკოპიური ოპერაციის შედეგად ცოცხალი ამოვიყვანეთ.

ორი საკრუიზო ხომალდი ერთმანეთს შეეჯახა

კომპანია Carnival Cruise-ს ორი დიდი საკრუიზო ხომალდი მექსიკის კუნძულ კოსუმელის პორტის მახლობლად ერთმანეთს შეეჯახა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა თვითმხილველმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ უახლოვდება ლაინერი Carnival Legend ხომალდ Carnival Glory-ს, შემდეგ ეჯახება და ნაწილობრივ ანგრევს მის ერთ-ერთ ქვედა გემბანს. შემდეგ კადრებში Carnival Legend უკანა სვლას რთავს და მეორე ხომალდს შორდება.

ვიდეორგოლის ავტორმა დაწერა, რომ ეს ერთადერთი ვიდეოა, რომლის გადაღებაც მან მოახერხა და კადრს მიღმა უცენზურო გამონათქვამების გამო ბოდიში მოიხადა.

დედოფალ ელისაბედ II-ის მეუღლე საავადმყოფოში გადაიყვანეს

ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის მეუღლე, პრინცი ფილიპი, საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო ბუკინგემის სასახლეზე დაყრდნობით ავრცელებს.

98 წლის ედინბურგის ჰერცოგი, დედოფლის მკურნალი ექიმის რჩევის გათვალისწინებით, ლონდონში მეფე ედუარდ VII-ს საავადმყოფოში მოათავსეს. მანამდე ის ნორფოლკის საგრაფოში იმყოფებოდა, სადაც სამეფო ოჯახის წევრები, ტრადიციულად, ხვდებიან შობის დღესასწაულს. მისი საავადმყოფოში გადაყვანა იმ დღეს მოხდა, როდესაც ნორფოლკში თავად დედოფალი ჩავიდა. სავარაუდოდ, დღესასწაულს მეუღლეები ცალ-ცალკე შეხვდებიან.

პრინც ფილიპის საავადმყოფოში გადაყვანის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ხუთშაბათს იქნა მიღებული. მანამდე ბრიტანეთის მედიაში ვრცელდებოდა ხმები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თაობაზე. სავარაუდოდ, პრინცი გაციებული იყო.

ძაღლმა პატრონის მანქანა წყალში ჩააგდო

ჩინეთის პროვინცია ჩეჟეცზიანის ცზინხუას ოლქში ძაღლის გამო ავტომობილი გუბურაში აღმოჩნდა.

მამაკაცი, გვარად ცზია, სოფელ სინგუანში საკუთარი მაღაზიიდან გამოვიდა და მანქანაში ჩაჯდა. მან ძრავა აამუშავა, მაგრამ ამ დროს გაახსენდა, რომ საფულე და პროდუქტებით სავსე ყუთი დარჩა. ის მანქანიდან გადავიდა, სადაც თავისი ძაღლი დატოვა და მაღაზიაში შებრუნდა.

როდესაც ცზია უკან დაბრუნდა, გახარებულმა ძაღლმა ხტუნვა დაიწყო და, როგორც ჩანს, მანქანის სიჩქარეთა გადამცემი კოლოფის ბერკეტს შეეხო. შედეგად ავტომობილი დაიძრა და იქვე გუბურაში ჩავარდა. ადგილობრივები მამაკაცს ძაღლის წყლიდან ამოყვანაში დაეხმარნენ.

12 წლის ბიჭმა ძაღლთან ერთად ხანძარს თავი ძმის პიკაპით დააღწია

ავსტრალიის ქალაქ მოგამბერში მეხანძრეებმა 12 წლის ბიჭი გადაარჩინეს, რომელიც ტყის ხანძრისგან თავის დაღწევას ძმის პიკაპით ცდილობდა.

12 წლის ლიუკ სტაროკი სახლში მარტო იმყოფებოდა. მამამისი ავიან სტაროკი და უფროსი ძმა ტყის ხანძართან საბრძოლველად იყვნენ წასული. მათ ბიჭი გააფრთხილეს, რომ თუ დაინახავდა, რომ ცეცხლი მათ სახლს მიუახლოვდებოდა, რაც შეიძლება შორს გაქცეულიყო.

როდესაც ბიჭმა ფანჯრიდან ცეცხლი დაინახა, ხელი დასტაცა ძაღლს, ძმის პიკაპში ფორდ რეინჯერში ჩაჯდა და წავიდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მეხანძრეებმა ავტომობილის საჭესთან მჯდომი ბიჭი შენიშნეს, გააჩერეს და პოლიციელს გადასცეს, რომელმაც ბიჭი ოჯახში მიიყვანა.

მეხანძრეების თქმით, ბიჭი ცოტა პანიკას ჰყავდა შეპყრობილი, ვინაიდან ბოლის გამო ზუსტად ვერ არჩევდა, საით უნდა წასულიყო.

ბავშვის მამის თქმით, ის ამაყობს საკუთარი შვილით. მან განმარტა, რომ ლიუკს მანქანის მართვას შვიდი წლიდან ასწავლიდნენ, რათა მსგავს გაუთვალისწინებელ შემთხვევას მომზადებული შეხვედროდა.

გოგონამ გათხოვების სანაცვლოდ შეყვარებულს მანქანა და სახლი აჩუქა

ჩინეთის პროვინცია ხენანში გოგონამ თავის ბოიფრენდს ცოლად გაყოლის სანაცვლოდ ბმვ-ს მარკის ავტომობილი და სახლი აჩუქა.

24 წლის სიაოცზინმა თავის შეყვარებულ სიაოკეს მათი ურთიერთობის დაწყების წლისთავზე დაქორწინება სთხოვა. მან ბოიფრენდი იქ დაპატიჟა, სადაც მათი პირველი პაემანი შედგა. გოგონამ შეხვედრის ადგილი ფერად-ფერადი ბუშტებით მორთო და მას საქორწინო კაბაში გამოწყობილი დაელოდა.

– მე ყველაფერი მოვამზადე. მე შენ გჩუქნი მანქანასა და სახლის საბუთებს, – განუცხადა მან სიაოკეს, – მე მინდა, რომ სულ შენ გვერდით ვიყო. ჩემზე დაქორწინდები?

– ეს ისეთი მოულოდნელია, – აღიარა მამაკაცმა, – დიახ, ცოლად მოგიყვან.

მოგვიანებით სიაოცზინმა განმარტა, თუ რატომ გადაწყვიტა ასეთი ნაბიჯის გადადგმა. მისი თქმით, შეყვარებული მის მიმართ გულისხმიერებით გამოირჩეოდა და მის გამო მსხვერპლის გაღებაზეც არ იხევდა უკან.

– მეც მსურდა, რომ მისთვის რამე უჩვეულო გამეკეთებინა, – ხაზგასმით აღნიშნა გოგონამ.

სიაოცზინმა ასევე აღნიშნა, რომ ამ ყოველივეს ორგანიზებაში ოჯახი დაეხმარა. სწორედ მათ უყიდეს მის შეყვარებულს სახლი და ავტომობილი. თუმცა გოგონა იქვე აცხადებს, რომ ფულზე მეტად მისთვის სიყვარულია მთავარი.

ლეოპარდმა ხუთი წლის ბიჭი შეჭამა



ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში ლეოპარდი ბავშვებს, რომლებიც ქუჩაში თამაშობდნენ, თავს დაესხა.

ხუთი წლის ჩეტანმა და მისმა ოთხი წლის მეგობარმა ნიშუმ მტაცებელი შენიშნეს და ყვირილი ატეხეს. ლეოპარდი მათ თავს დაესხა, ნიშუ დაჭრა, ხოლო ჩეტანს პირი სტაცა და გაიტაცა.

ნიშუ ყელზე ნაიარევით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ორი დღის შემდეგ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ჩეტანის სხეული იპოვეს. ლეოპარდმა ბავშვი ნაწილობრივ შეჭამა, დარჩენილი ნაწილი კი სოფლიდან 300 მეტრში შაქრის ლერწმის ყანაში მიატოვა.

ეს ამ შტატში ორ დღეში ლეოპარდის თავდასხმის მეორე შემთხვევაა. სხვა სოფელში ნათესავებმა ხუთი წლის როხანის, რომელსაც თავს ასევე ლეოპარდი დაესხა, გადარჩენა მოასწრეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ანატოლი ბოისამ მწვრთნელობა მოგებით დაიწყო

ბათუმი-ოლიმპი 88:81
(17:23, 29:21, 17:15, 25:22)

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ბათუმმა დიმიტრი ჯაკობოვის ოლიმპს უმასპინძლა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა – 88:81. შეხვედრის შედეგს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გამარჯვების შემთხვევაში ოლიმპი მე-2 ადგილზე მყარად გადადიოდა და პირველ წრეს მისაღებ ადგილზე ხურავდა, მასპინძლები კი მოგების შემთხვევაში ოლიმპს უთანაბრდებოდნენ და მოხდა ისე, რომ ბათუმელებმა საწადელს მიაღწიეს და ამას დიდი დოზით გუნდის ახალწვეულ ბერძენ მოთამაშეს უნდა უმადლოდნენ.

ნიკოლაოს დიპლაროსი ბათუმში ჩერნოგორიული ლოვჩენიდან გადმოვიდა, მანამდე კი ბერძნულ არისსა და პანიონიოსში უთამაშია. 22 წლის ახალგაზრდა გამთამაშებელმა ოლიმპს 22 ქულა ჩაუგდო და 11 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. შეიძლება ითქვას, რომ დიპლაროსის მეოხებით ბათუმმა ოლიმპი დაამარცხა. აჭარულმა გუნდმა ამერიკელი უკანახაზელის, ჯუნიუს პროველის ჩინებული შემცვლელი მონახა.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. თავიდან ოლიმპი იგებდა, რომელმაც პირველი პერიოდი სათავისო ანგარიშით – 23:17 დაასრულა. მე-2 პერიოდიდან ამოქმედდა ბერძენი უკანახაზელი, რომელიც თანაგუნდელებს პასებითაც ამარაგებდა და თავის ჩასაგდებსაც აგდებდა. ბათუმელებმა მეორე ათწუთეული 29:21 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 3-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

მე-2 ნახევარში თანაბარი თამაში გაგრძელდა, მესამე პერიოდი ისევ ბათუმელებმა, თუმცა მხოლოდ 2 ქულით მოიგეს და ბოლო მეოთხედს 5-ქულიანი ლიდერობით შეხვდნენ. ოლიმპი არ რჩებოდა და მოგები შანსს ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდა, თუმცა რევაზ ჩაჩანიძის 3-ქულიანებმა, ნიკოლა ვუიოვიჩის ფარქვეშა აქტიურობამ და, რა თქმა უნდა, დიპლაროსის შედეგიანობამ თბილისელებს იმედი გადაუწურა. საბოლოოდ აჭარულმა გუნდმა 7 ქულის სხვაობით იმარჯვა და მეორე ადგილზე დამკვიდრდა. ოლიმპის მსგავსად, ბათუმელებს 6 მოგება და 4 მარცხი აქვთ, თუმცა პირადი მოგების ხარჯზე ცხრილში წინ არიან.

გამარჯვებულთაგან 22 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო დიპლაროსი. 5 სამიანი და ჯამში 17 ქულა ჩააგდო რეზო ჩაჩანიძემ, ხოლო სერბმა ნიკოლა ვუიოვიჩმა შეხვედრა 15 ქულითა და 10 მოხსნით დაასრულა. 13 ქულა ჰქონდა ლევან მასხულიას. ოლიმპელთაგან 18 ქულითა და 8 მოხსნით საუკეთესო იყო კახა ჯინჭარაძე. 16 ქულა, 8 მოხსნა და 5 პასი რევაზ როგავამ მოაგროვა. 13 ქულითა და 8 მოხსნით გამოირჩა აკიეან ფრედერიკი.

ტიტები-ქუთაისი 73:81
(27:19, 22:24, 11:17, 13:21)

ორივე გუნდს მოგებ-წაგებების თანაბარი შეფარდება (4-5) ჰქონდ და, შესაბამისად, ამ მატჩს უნდა გადაეწყვიტა, პირველ წრეს რომელი უფრო მაღალ საფეხურზე დაასრულებდა.

მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და მისი ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა. მთელი საწყისი 3 პერიოდი ტიტები ლიდერობდა. ლაშა-გიორგი გამყრელიძის გაწვრთნილი გუნდი სწრაფი და კომბინირებული თამაშის წყალობით პირველი პერიოდის შემდეგ 29:19 იგებდა, მეორეს შემდეგ – 49:43, ხოლო მესამე მეოთხედში ქუთაისელებმა გარდატეხა მოახდინეს და ანგარიში გაათანაბრეს. გადამწყვეტი პერიოდის წინ ანგარიში თანაბარი – 60:60 გახლდათ.

ყველაფერი დასკვნით პერიოდში გადაწყდა, რომელიც ქუთაისელებმა უკეთესად ჩაატარეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. საკვანძო გამოდგა ლევან ფხაკაძისა და ბექა ბექაურის 3-ქულიანები, რომლის შემდეგაც ქუთაისელთა ლიდერობამ 9 ქულას მიაღწია და შეხვედრის დასრულებამდე 1 წუთით ადრე შეხვედრის ბედი იმერული კლუბის სასარგებლოდ გადაწყდა.

მატჩი ქუთაისელებმა 81:73 მოიგეს, რომლებსაც 25 ქულით ჯეიმზ მილიკენმა ულიდერა. 13 ქულა მიითვალა შორ რაუნდთრიმ, ხოლო გიორგი ბარბაქაძემ და ბექა ბექაურმა შეხვედრა 12-12 ქულით დაასრულეს.

ტიტებში 22 ქულით საუკეთესო იყო კორი სპენსი. 16 ქულით ლუკ მეიერი გამოირჩა, 15 ქულა ტრისტინ უოლეს ანგარიშზე დაგროვდა.

ცხუმ აფხაზეთი-რუსთავი 58:69
(17:18, 18:14, 7:18, 16:19)

რუსთავი ტრადიციას აგრძელებს. წაგება, მოგება, წაგება, მოგება და ასე გრძელდება დღემდე. ქვემოქართლელებმა სუპერლიგა წაგებით რომ დაიწყეს, მას მერე მოგებ-წაგებას ერთმანეთს უნაცვლებენ. წინა ტურში რუსთაველებმა შინ ტიტებთან წააგეს და მოგების ჯერზე ცხუმ-აფხაზეთს შეხვდნენ. ტრადიცია გაგრძელდა და შეხვედრა რუსთაველებმა 69:58 მოიგეს. წარმატებული გამოდგა ანატოლი ბოისას დებიუტი მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ეროვნული ნაკრების ყოფილმა წევრმა რუსთავის მთავარი მწვრთნელის პოზიციაზე ბერძენი გეორგიოს კეცელიდისი შეცვალა. ახალი დამრიგებლით რუსთაველებმა პირველივე გასვლითი გამარჯვება მოიპოვეს და სუპერლიგის პირველი წრე 5-5 მოგებ-წაგებით დაასრულეს.

შეხვედრა მწირქულიანი გამოდგა. შესაბამისად, ბევრი იყო შეცდომები და აცილებული ბურთები. ორივე გუნდი განსაკუთრებულ ყურადღებას დაცვას უთმობდა, შეტევაში კი საბოლოოდ რუსთაველებმა იმარჯვეს, რომლებმაც უფრო გუნდურად ითამაშეს. პირველი პერიოდის შემდეგ ცხუმ-აფხაზეთი ქულას იგებდა, მეორეში კი რუსთაველებმა მინიმალური ჩამორჩენა გააბათილეს და 3 ქულით დაწინაურდნენ.

საკვანძო გამოდგა მესამე ათწუთეული, რომელიც ქვემოქართლურმა გუნდმა 18:7 მოიგო და ბოლო პერიოდის წინ 14 ქულით გალიდერდა. დარჩენილ დროში რუსთაველებმა მოპოვებული უპირატესობა ისე შეინარჩუნეს, რომ მოედანზე სიტუაცია არ დაძაბულა. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა გუნდმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო ცხრილში 5 მოგების მქონე ქუთაისს, ვერას და დინამოს შეუერთდა.

ეს უკანასკნელი 2 გუნდი პირველი წრის ბოლო მატჩებს გამართავს.

გამარჯვებულ რუსთაველებს 16 ქულით საბა ლობჯანიძემ ულიდერა. 13 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა ილია ლონდარიძემ, ხოლო ამერიკელი დენზელ ლივინგსტონის ანგარიშზე 9 ქულა, 13 მოხსნა და 5 პასი დაგროვდა.

ცხუმ-აფხაზეთში 19 ქულით კვან უოლერი, ხოლო 13-ით დეონტა ფრანკლინი გამოირჩა.

სატურნირო ცხრილი:

1.თსუ	10	8	2	869-769	18
2.ბათუმი	10	6	4	847-800	16
3.ოლიმპი	10	6	4	773-803	16
4.ქუთაისი	10	5	5	779-763	15
5.რუსთავი	10	5	5	795-749	15
6.ტიტები	10	4	6	687-735	14
7.ვერა	9	5	4	684-669	14
8.დინამო	9	5	4	731-777	14
9.აფხაზეთი	10	3	7	748-805	13
10.კაკტუსი	9	4	5	658-679	13
11.მგზავრები	9	2	7	691-713	11

შედეგები

21 დეკემბერი

ფეხბურთი

მსოფლიოს საჯუნგლო ჩემპიონატი

ფინალი

ლივერპული-ფლამენგო ..... 1:0(დდ)

მე-3 ადგილისთვის

მონტერეი-ალ ჰილალი ..... 2:2(4:3პ)

ინგლისი. პრემიერლიგა

ევერტონი-არსენალი 0:0
ასტონ ვილა-საუთჰემპტონი 1:3
ბორნმუთი-ბარნლი 0:1
ბრაიტონი-შეფილდი 0:1
ნორვიჩი-ვულვზი 1:2
ნიუკასლი-კრ.პალასი 1:0
სიტი-ლესტერი 3:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	17	16	1	0	42-14	49
2.ლესტერი	18	13	2	3	41-14	39
3.სიტი	18	12	2	4	50-20	38
4.ჩელსი	17	9	2	6	31-25	29
5.შეფილდი	18	7	7	4	22-16	28
6.ვულვზი	18	6	9	3	26-22	27
7.ტოტენჰემი	17	7	5	5	32-24	26
8.მანჩესტერი	17	6	7	4	25-20	25
9.ნიუკასლი	18	7	4	7	18-24	25
10.ბარნლი	18	7	3	8	23-29	24
11.კრ.პალასი	18	6	5	7	15-20	23
12.არსენალი	18	5	8	5	24-27	23
13.ბრაიტონი	18	5	5	8	21-26	20
14.ბორნმუთი	18	5	4	9	19-25	19
15.ევერტონი	18	5	4	9	20-29	19
16.ვესტ ჰემი	17	5	4	8	19-28	19
18.საუთჰემპტონი	18	5	3	10	21-37	18
17.ასტონ ვილა	18	4	3	11	24-33	15
19.ნორვიჩი	18	3	3	12	19-37	12
20.უოტფორდი	17	1	6	10	9-32	9

ინგლისი. ჩემპიონიერიგა

კარდიფი-პრესტონი 0:0
ვესტ ბრომვიჩი-ბრენტფორდი 1:1
ქარ-ჩარლტონი 2:2
ლუთონი-სუონსი 0:1
მილუოლი-ბარნსლი 1:2
რედინგი-დერბი 3:0
ფულემი-ლიდსი 2:1
ჰადერსფილდი-ნოტინგემი 2:1
ჰალი-ბირმინგემი 3:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-ვოლფსბურგი 2:0
კიოლნი-ვერდერი 1:0
მაინცი-ლევერკუზენი 0:1
ლაიფციგი-აუგსბურგი 3:1
შალკე-ფრაიბურგი 2:2
ჰერტა-გლადბახი 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.ლაიფციგი	17	11	4	2	47-20	37
2.გლადბახი	17	11	2	4	33-18	35
3.ბაიერნი	17	10	3	4	46-22	33
4.დორტმუნდი	17	8	6	3	41-24	30
5.შალკე	17	8	6	3	29-21	30
6.ლევერკუზენი	17	8	4	5	23-21	28
7.ჰოფენჰაიმი	17	8	3	6	25-28	27
8.ფრაიბურგი	17	7	5	5	27-23	26
9.ვოლფსბურგი	17	6	6	5	18-18	24
10.აუგსბურგი	17	6	5	6	28-31	23
11.უნიონი	16	6	2	8	19-22	20
12.ჰერტა	17	5	4	8	22-29	19
13.აინტრახტი	16	5	3	7	26-27	18
14.მაინცი	17	6	0	11	25-39	18
15.კიოლნი	17	5	2	10	19-32	17
16.ვერდერი	17	3	5	9	23-41	14
17.ფორტუნა	16	3	3	10	16-35	12
18.პადერბორნი	16	2	3	11	18-35	9

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-შტუტგარტი 2:2
დარმშტადი-ჰამბურგი 2:2
ზ.პაული-არმინია 3:0
აუე-ფიურტი 3:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

მალიორკა-სევილია 0:2
ბარსელონა-ალავესი 4:1
ვილიარეალი-ხეტაფე 1:0
ვალიადოლიდი-ვალენსია 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	18	12	3	3	47-21	39
2.რეალი	17	10	6	1	33-12	36
3.სევილია	18	10	4	4	23-17	34
4.ხეტაფე	18	8	6	4	26-17	30
5.ატლეტიკო	17	7	8	2	18-10	29
6.ვალენსია	18	7	7	4	28-25	28
7.სოსიედადი	17	8	4	5	28-20	27
8.ბილბაო	17	7	6	4	19-12	27
9.ვილიარეალი	18	7	4	7	31-25	25
10.გრანადა	18	7	3	8	24-25	24
11.ოსასუნა	17	5	8	4	22-20	23
12.ლევანტე	17	7	2	8	22-26	23
13.ბეტისი	17	6	5	6	24-29	23
14.ვალიადოლიდი	18	4	8	6	15-21	20
15.ალავესი	18	5	4	9	19-28	19
16.ეიბარი	18	5	4	9	18-28	19
17.მალიორკა	18	4	3	11	18-33	15
18.სელტა	17	3	5	9	14-25	14
19.ლეგანესი	17	2	4	11	12-28	10
20.ესპანიოლი	17	2	4	11	12-32	10

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალბასეტე-ელჩე 0:1
მალაგა-ლუგო 1:1
ლას პალმასი-რაიო 1:1
ხიხონი-ესტრემადურა 0:1
რასინგი-ოვიედო 1:1
კადისი-ნუმანსია 2:4

იტალია. სერია ა

უდინეზე-კალიარი 2:1
ინტერი-ჯენოა 4:0
ტორინო-სპალი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	17	13	3	1	36-14	42
2.იუვენტუსი	17	13	3	1	31-17	42
3.ლაციო	16	11	3	2	38-16	36
4.რომა	17	10	5	2	33-17	35
5.კალიარი	17	8	5	4	33-23	29
6.ატალანტა	16	8	4	4	38-25	28
7.პარმა	16	7	3	6	23-19	24
8.ნაპოლი	16	5	6	5	25-21	21
9.ტორინო	17	6	3	8	22-26	21
10.მილანი	16	6	3	7	16-19	21
11.სასუოლო	16	5	4	7	28-27	19
12.ბოლონია	16	5	4	7	25-27	19
13.ვერონა	16	5	4	7	17-20	19
14.უდინეზე	17	5	3	9	13-28	18
15.ფიორენტინა	17	4	5	8	21-28	17
16.ლეჩე	16	3	6	7	20-31	15
17.სამპდორია	17	4	3	10	14-27	15
18.ბრეშა	16	4	1	11	13-28	13
19.სპალი	17	3	3	13	12-26	12
20.ჯენოა	17	2	5	10	17-35	11

იტალია. სერია ბ

კროტონე-ლივორნო 2:1
პერუჯა-ვირტუსი 2:0
ჩიტადელა-კიევო 1:1
ემპოლი-სალერნიტანა 1:1
იუვე სტაბია-ვენეცია 2:0
ბენევენტო-ფროზინონე 1:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

დიჟონი-მეცი 2:2
მარსელი-ნიმი 3:1
მონაკო-ლილი 5:1
მონპელიე-ბრესტი 4:0
ნანტი-ანჟე 1:2
ნიცა-ტულუზა 3:0
პსჟ-ამიენი 4:1
რეიმსი-ლიონი 1:1
რენი-ბორდო 1:0
სტრასბური-სტ.ეტიენი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	18	15	0	3	43-10	45
2.მარსელი	19	11	5	3	30-16	38
3.რენი	18	10	3	5	24-17	33
4.ლილი	19	9	4	6	24-20	31
5.ნანტი	19	9	2	7	17-18	29
6.რეიმსი	18	7	7	4	16-10	28
7.მონაკო	18	8	4	6	30-26	28
8.ანჟე	19	8	4	7	22-24	28
9.მონპელიე	19	7	6	6	26-19	27
10.სტრასბური	19	8	3	8	23-25	27
11.ნიცა	19	8	3	8	28-27	27
12.ბორდო	19	7	5	7	28-22	26
13.ლიონი	19	7	5	7	29-18	26
14.სტ.ეტიენი	19	7	4	8	22-29	25
15.ბრესტი	19	5	7	7	21-24	22
16.დიჟონი	19	4	6	9	14-22	18
17.ამიენი	18	4	5	9	21-36	17
18.მეცი	19	3	8	8	17-28	17
19.ტულუზა	19	3	3	13	19-39	12
20.ნიმი	18	2	6	10	13-32	12

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-ნიორი 1:0
პარიზი-ლე მანი 0:3
ტრუა-აიაჩო 2:1

ნიდერლანდები. ეროვნული

ჰერენვენი-ერაკლესი 1:1
პსვ-ზვოლე 4:1
სპარტა-ალკმაარი 3:0
ტილბურგი-სიტარდი 0:0

შოტლანდია. პრემიერლიგა

ჰამილტონი-ჰარტსი 2:1
კილმარნოკი-მოზერველი 0:1
ლივინგსტონი-როსი 4:0
სელტიკი-აბერდინი 2:1
სტ.ჯონსონი-სტ.მირენი 0:0

ბელგია. ა დივიზიონი

მუსკრონი-შარლერუა 1:1
სერკლი-ვარეგემი 2:0
ეუპენი-კორტრაიკი 1:2
ბევერენი-სტანდარდი 2:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-ქანანი 5:0
ლამია-აეკი 0:0

თურქეთი. სუპერლიგა

მალათია-რიზე 0:2
ქაშიმფაშა-გაზიანთები 3:4
გიოზთეფე-გალათასარაი 2:1

პორონეთი. ექსტრალიგა

ლეხია-ჩენსტოხოვა 0:3
პლოცკი-პიასტი 2:1

პლოცკის ორივე გოლი
გიორგი მერებაშვილმა გაიტანა

გურნიკი-იაგელონია 3:0

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ლივერპული მსოფლიოს ჩემპიონია

ლივერპული-ფლამენგო 1:0
(დდ)

დოჰა. ხალიფა

1:0 ფირმინიო (99)

ყატარის დედაქალაქ დოჰაში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი დასრულდა.

ტურნირში 7 გუნდი მონაწილეობდა: კონტინენტების 6 გამარჯვებული (ესპერანსი, აფრიკა; ალ ჰილალი, აზია; ლივერპული, ევროპა; მონტერეი, ჩრ.ამერიკა; იანგენ სპორტი, ოკეანეთი; ფლამენგო, ს.ამერიკა და მასპინძელი გუნდი ალ სადი).



როგორც იქნა, ლივერპულმა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგო და სრული უფლება აქვს, საკუთარ თავს პლანეტის უძლიერესი გუნდი უწოდოს. აქამდე მერსისაიდელებს 3 ფინალი ჰქონდათ წაგებული. მათ შორის ერთი ფლამენგოსთან – 1981 წლის 13 დეკემბერს, ტოკიოში. მაშინ ამ ტურნირს საკონტინენტთაშორისო თასი ერქვა.

ფინალი სასიამოვნო სანახავი გამოდგა და ამისთვის მადლობა ფლამენგოს – ძალიან ცოტა გუნდს თუ შეუძლია, ამ ლივერპულს ასეთი ბრძოლა გამოუცხადოს.

ფლამენგოს დაცვითი ტაქტიკა არ აურჩევია, საკუთარ თამაშს ბურთაობდა, ბურთს კარგად აკონტროლებდა, მაღალ პრესინგით ავისწროებდა მეტოქეს და კარგი მომენტებიც ჰქონდა. მოკლედ, სამხრეთ ამერიკელები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ევროპის უძლიერეს გუნდს. თუმცა, სენსაცია მაინც არ შედგა...

მერსისაიდელებს ძირითად დროშიც შეეძლოთ მოგება, მაგრამ ეს საქმე დამატებითი დროისთვის გადადეს. იქ კი, ფირმინიომ სადიო მანეს პასი შეირგო და გამარჯვების მომტანი გოლიც გაიტანა.

მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში მექსიკურმა მონტერეიმ საუდის არაბეთის ალ ჰილალი პენალტების სერიაში (4:3) დაამარცხა. მატჩის ძირითადი დრო ფრედ, ანგარიშით 2:2 დასრულდა.

ლივერპულის შემტევი, მოჰამედ სალაჰი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარფინალში მონტერეისთან (2:1) და ფინალში ფლამენგოსთან (1:0) ეგვიპტელმა გოლები ვერ გაიტანა, მან მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ოქროს ბურთი მაინც მიიღო.

ვერცხლის ბურთი ფლამენგოს ფეხბურთელს, ბრუნო ენრიკეს გადაეცა – მან ალ ჰილალთან (2:1) ნახევარფინალში გამარჯვების გოლი გაიტანა.

ბრინჯაოს ბურთი ალ ჰილალის კაპიტან კარლოს ედუარდოს გადაეცა. ბრაზილიელმა მესამე ადგილისთვის გამართულ შეხვედრაში პენალტების სერიაში მონტერეის თერთმეტმეტრიანი გაუტანა.

სამგლოვიარო განცხადებები

დალი ზაქარიაშვილი-ჩიკვაიძის მონატრება

ჩვენო დალი – დაკო, გაუსაძლისია შენი დიდი ოჯახისათვის იმ უზარმაზარი ტკივილის მოშუშება, რომელიც შენმა თავზარდამცემმა გარდაცვალებამ დაგვიტოვა. ვერანაირი დრო ვერ განკურნავს იმ შეგრძნებას, რომელსაც უშენობა ჰქვია. დრო გარბის, ტკივილი და მწუხარება კი უფრო და უფრო გვირთულდება.

25 დეკემბერი ხომ შენი დაბადების დღეა, რომელსაც ყოველთვის დიდი სიხარულითა და ზეიმით აღვნიშნავდით, შენივე მომზადებული უგემრიელესი უხვი პურ-მარილით. წელსაც აღვნიშნავთ არა ზეიმით, არამედ გლოვითა და უღრმესი მწუხარებით.

ჩვენო დაკო, შენი მოულოდნელი გარდაცვალებით გაგვანადგურე, პირველ რიგში – შენი მეუღლე და მოსიყვარულე დიდი ოჯახი. დაკო, ყოველ დილით მოვდივარ შენს საფლავზე ყვავილებით, სანთელ-საკმევლით, ცრემლით. ვეფერები შენს მოღიმარ სურათს და ვამბობ, წმინდა სასუფეველში ამყოფოს უფალმა შენი სული. უსაზღვროდ გვიყვარხარ, გვეყვარები. სანამ ცოცხლები ვიქნებით, დაკოს დავიწყება არ უწერია.

შენი გარდაცვალებით ღრმად დამწუხრებული შენი დიდი ოჯახი
და განსაკუთრებით ტანჯული მეუღლე

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8957

ევრო — 3.2186

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7772

100 რუსული რუბლი — 4.6589

ამინდის პროგნოზი 23 დეკემბერი



17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები

ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი

ღრმა დეკოლტიან კაბაში გამოწყობილი კიმ კარდაშიანის ფოტო ჟურნალის გარეკანზე გამოჩნდა

რეალიტი შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილისა და მეწარმის კიმ კარდაშიანის ფოტოსურათი ჟურნალ „ჰოლივუდის“ გარეკანზე გამოქვეყნდა. ფოტოსესიის რამდენიმე ფოტოსურათი ინსტაგრამში ტელევარსკვლავის გვერდზე დაიდო.

გადაღებებისთვის კარდაშიანმა ფრანგი მოდელიერის ტიერი მიუგლერის ოქროს ბისერებითა და მარგალიტებით დამშვენებული შავი მინიკაბა ჩაიცვა. მისი ღრმა დეკოლტე კარდაშიანის მკერდისა და მუცლის ნაწილს აშიშვლებს.

სხვა ფოტოებზე ტელევარსკვლავი ქათქათა საწოლზე გრძელ უსახელო შავ კაბაში თვალდახუჭული წევს, ხოლო მის გარეგნობას ავსებს მასიური მარგალიტის ყელსაბამი, სამაჯური და საყურეები.

ძუ ლომმა ბოკვერები ნიანგებით სავსე მდინარეზე გადაიყვანა

კენიის მასაი-მარას ნაკრძალში ვიდეოზე გადაიღეს ძუ ლომი, რომელსაც ბოკვერები ნიანგებით სავსე მდინარეზე გადაჰყავდა.

ფოტოგრაფმა ლუკა ბრაკალიმ ბოკვერები მდინარე ევასოგიროზე შენიშნა. მისი თქმით, ეს უკიდურესად იშვიათი შემთხვევაა, ვინაიდან ასეთი პატარა ბოკვერები იშვიათად გადაჰყავთ მდინარეზე. მისი გამყოლი, რომელიც მასაი-მარაში ათი წელია მუშაობს, ამტკიცებს, რომ აქამდე მსგავს რამეს არასოდეს შესწრებია.

ბოკვერებმა მშვიდობიანად მიაღწიეს მეორე ნაპირს, თუმცა ერთი მათგანი კინაღამ დინებამ გაიტაცა, როდესაც ფეხი დაუცდა და თავით წყალში გადაეშვა. ძუ ლომმა სწრაფი რეაგირება მოახდინა, ბოკვერი წყლიდან ამოიყვანა და დაღუპვას გადაარჩინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

23 დეკემბრისათვის

ვერძი – ფინანსური მდგომარეობა გიუარესდებათ. მომავალი ერთობ ბუნდოვანია. მოსალოდნელია კონფლიქტი ნათესავებთან და მეგობრებთან. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა დაფიქრებისათვის. მობილიზებული ხართ ფილოსოფიური აზროვნებისათვის. **ტყუპები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ნუ გადაიღლებით. პარტნიორების მხარდაჭერის იმედი მაინცდამაინც ნუ გექნებათ. **კირჩხიბი** – მეგობრებთან შეხვედრა გაგახარებთ, მაგრამ ზომიერება დაიცავით. ზედმეტად არ გადაიღალოთ. ბუნების წიაღში განმარტოება სასიკეთოდ წაგადგებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლა არ არის სასურველი. ფინანსურად არასტაბილური მდგომარეობა გაქვთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **ქალწული** – მცირედი სიძნელეები ნუ შეგაშინებთ. არ გარისკოთ. საქმიანი პარტნიორები მახეს გიგებენ. **სასწორი** – ეცადეთ, ჯანმრთელობა გაიუმჯობესოთ, ორგანიზმი გაიკაჟოთ. ზედმეტად ნურავის მიენდობით. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმის შესასრულებლად კეთილისმყოფელი დღეა. დიდი ხნის ნატვრა გისრულდებათ და თავს ბედნიერად გრძნობთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ გარშემომყოფებთან კონფლიქტს. ინტიმურ სფეროში სირთულეებია მოსალოდნელი. **თხის რქა** – ვარსკვლავების განლაგება თქვენ მიმართ არაკეთილგანწყობილია. ყველაფერში სიფრთხილე გამოიჩინეთ. დიდია ავადმყოფობისა და ტრავმის მიღების ალბათობა. **მერწყული** – მიუტევეთ, აპატიეთ. წყენას გულში ნუ ჩაიხვევთ. პროვოკაციებს არ წამოეგოთ. ეცადეთ, ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმოთ. **თევზები** – აქტიურობის პერიოდი გაქვთ. გააანალიზეთ პრობლემების მიზეზები და შეეცადეთ მათ აღმოფხვრას.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:
– ექიმო, ამ ბოლო დროს ყველაფერზე მეშლება ნერვები.
– მაინც რაზე?
– რაზე კი არა, თუ შემოგარტყი, ტვინს კედელზე მიგასხმევინებ!

●●●

კაცი ქალს ეუბნება:
– საუკეთესო საჩუქარი შთაბეჭდილების მოხდენაა!
– ჩემზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ფული ახდენს.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:
– როგორი გემრიელი სუნი აგდის!
– მადლობა, ეს კორვალოლია.

●●●

ქალი პლაჟზე წავიდა და დაიკარგა. ქმარმა ამის შესახებ პოლიციაში განაცხადა. სამი კვირის შემდეგ მასთან პოლიციელები მივიდნენ და ეუბნებიან:
– შენთვის სამი ახალი ამბავი გვაქვს: კარგი, ცუდი და შესანიშნავი.
– დაიწყეთ ცუდით.
– თქვენი ცოლი წყალში დაიხრჩო.
– და კარგი რომელიღაა?
– მასზე ერთ „ვედრომდე“ კიბორჩხალა შევაგროვეთ.
– კი მაგრამ, შესანიშნავი რაღაა?
– ხვალ წყლიდან ისევ ამოვიღებთ და ლუდზე გეპატიჟებით!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:
– იცი, მომავალში ფლოტში მხოლოდ ცურვის არმცოდნეებს მიიღებენ.
– რატომ?
– ისინი თავიანთ გემს უფრო მეტად უფრთხილდებიან!

●●●

რჩევა მეტყეველებს:
– ტყეში დათვთან შეხვედრის შემთხვევაში თავი მოიმკვდარუნეთ, შემდეგ კი ისე მოაჩვენეთ თავი, თითქოს მკვდრეთით აღდექით. ის ამის შემდეგ ან თაყვანს გცემთ, ან თქვენს არსებობას უარყოფს.

●●●

ცოლი ქმარს ნიშნის მოგებით ეუბნება:
– დღეს ქუჩაში ერთმა კაცმა ქათინაური მითხრა...
– მაინც რა გითხრა ასეთი?
– რა და ფეხები ყურებიდან გეზრდებაო!
– ეგ ქათინაური სულაც არ არის. მან ის იგულისხმა, რომ სახე უკანალს მიგიგავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უხუცესი ხელოვანი ელენე ლუხუტაშვილი გარდაიცვალა

უხუცესი ხელოვანი ელენე ლუხუტაშვილი, რომელიც საზოგადოებამ მისი არაჩვეულებრივი ნამუშევრებით გაიცნო, გარდაიცვალა. საბედნიეროდ, ელენე ბებოს გაცნობა საზოგადოების ნაწილმა მოასწრო, მისი ნამუშევრები თბილისში, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზშიც გამოიფინა.

ელენე ბებო ნამუშევრებს ქმნიდან ყველაფრით – ჭურჭლის ნამტვრევებით, კენჭებით, კანფეტების ქაღალდებით და მათ გაყიდვაზე არასდროს უფიქრია, რადგან ისინი შვილებივით უყვარდა. ხელოვანი თელავში შეყვარებულების კოშკის აგებაზე ოცნებობდა.

ინფორმაცია მისი გარდაცვალების შესახებ ლევან ცაკაშვილმა გაავრცელა:

– წავიდა, შეუერთდა იმ დიდ ხელოვანთა რიგს, რომლებმაც შექმნეს ეპოქა.

დიახ, ელენე ბებიამ თავისი უბრალოებითა და დიდი ნიჭით შექმნა ეპოქა, უბრალო ქვის, თიხის, თეფშის, მინის ნატეხებით ქმნიდა დიდ შედევრებს. ან როგორ იტევდა ამხელა ცოდნას, რა წარმოსახვა ჰქონდა.

ხშირად მინის ქვეშ კანფეტის ქაღალდი დამიდვია, რომ ფერი მიმეცაო. რამდენიმე წლის წინ ერთმა ქალბატონმა მთხოვა გადამეცა, რომ თუ სურვილი ექნებოდა, მოზაიკით შეეძლო დახმარება. როდესაც ვუთხარი, ასეთი რამ მითხრა, არა, შვილო, მე არაფრისგან ვქმნიო. ყველაფერი რომ მქონდეს, ის არ გამოვა, რაც მინდაო.

ნათელში იყავი, ტკბილო და ყველასთვის მლოცველო ელენე ბებია, მუდამ სიხარული და სიყვარული კიაფობდა შენს თვალებში, ყველა შემხვედრს, უცხოსა თუ ნაცნობს, ისეთ თბილ სიტყვას ეტყოდი, რაც არ უნდა ცუდ ხასიათზე ყოფილიყო, სიხარულით უცვლიდი განწყობას.

მშვიდად განისვენე იქ, სადაც არც ჭირია და არც სიცივე, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ნიკა აგლაძის დასახმარებლად საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა გადაიდო

ინტელექტკლუბის გამორჩეული მოაზროვნის ნიკა აგლაძის დასახმარებლად მწერალთა სახლში აუქციონი და საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა 22 დეკემბერს უნდა გამართულიყო. მწერალთა სახლის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე მოვლენების გამო ღონისძიება მომავალი წლის 18 იანვარს გაიმართება.

ისტორიკოსსა და ლიტერატორს აღმოაჩნდა თავის ტვინის კავერნომა. ნიკას უკვე ჩაუტარდა ერთი ოპერაცია თურქეთში, რომელიც, სამწუხაროდ, წარუმატებელი აღმოჩნდა. ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულია და საჭიროებს ნეიროქირურგიულ ჩარევას. ოპერაცია უახლოეს მომავალში გერმანიაში უნდა ჩატარდეს. მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროცესი ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

ნიკა აგლაძის მხარდასაჭერად მწერალთა სახლში დაგეგმილ აუქციონსა და გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, მხატვრები, გამომცემლები, რამდენიმე მუზეუმი, სტარტაპერი, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაცია.

მწერალთა სახლში საშუალება გექნებათ, შეიძინოთ თანამედროვე მხატვრების ნამუშევრები, ცნობილი ქართველი მწერლების მემორიალური ნივთები და ხელნაწერები, თანამედროვე ქართული და თარგმნილი ლიტერატურა, ხელნაკეთი ნივთები, ფოტოები, სუვენირები.

აუქციონსა და გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

გოგონას სანტასთვის მიწერილმა წერილმა სოციალური ქსელის მომხმარებლები აატირა

ლონდონის პატარა მცხოვრებმა სანტა-კლაუსს ისეთი გულისშემძვრელი წერილი მისწერა, რომ სოციალური ქსელის მომხმარებლები აატირა.

ცხრა წლის ემილია ბურჯომ მშობლების თხოვნით სურვილების წინასაახალწლო სია შეადგინა. მამა ფიქრობდა, რომ ის, მინიმუმ, საჩუქრებისთვის ათ იდეას მოიფიქრებდა, მაგრამ ამის მაგივრად გოგონამ წერილი დაწერა: „დიდხანს ვფიქრობდი, თუ მაინც რა მინდა საშობაოდ. საბოლოოდ მივხვდი, რომ უკვე ყველაფერი მაქვს: ოჯახი და მეგობრები, რომლებზე მხოლოდ ოცნება შეიძლება“.

ბოლოსთვის მან ახსენა ის ნივთები, რომელთა მიღებას დღესასწაულისთვის ისურვებდა: გორგოლაჭებიანი სასრიალოები, წიგნების სერია ტყუპ დებზე სკარლეტსა და აივიზე.

– მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი დრო გექნებათ. ვიცი, რომ უამრავი საზრუნავი გაქვთ. გმადლობთ, რომ დრო დამითმეთ, – დაამატა ბურჯომ.

გოგონას მიერ დაწერილი წერილი მისმა ძიძამ ჟასმინ სტივენსმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

– არ შემიძლია, ეს წერილი არ გაჩვენოთ, – დაწერა მან კომენტარში, – ეს ისეთი კეთილი, მზრუნველი, ზრდილობიანი და ყურადღებიანი გოგონაა.

სოციალური ქსელის მრავალმა მომხმარებელმა აღიარა, რომ სანტასთვის განკუთვნილმა წერილმა ისინი აატირა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 5. ქიმიური ელემენტი; 7. ძველი, ძველებური; 8. მეგრული საჭმელი; 10. გუთნის ნაწილი; 12. წვრილი ღვედი; 13. ინგლისური ვერცხლის ფული; 14. მაღალხარისხოვანი თხის ტყავი; 18. „თეთრი ოქრო“; 20. აღლუმი; 23. ხელოვნების დარგი; 24. პატარა იალქნიანი გემი; 25. აზერბაიჯანული „მწვადი“; 26. წყლის გასაშვებ-ჩამკეტი მოწყობილობა; 27. რისამე ზუსტი ნიმუში.

შვეულად: 1. უეცარი ელდა; 2. ფხიანი თევზი; 3. ქათმის ხმიანობა; 4. საგნის დასაცავად მის ფორმაზე შეკერილი ჩამოსაცმელი ქსოვილი; 6. ცხენის, სახედრის ასაკიდი ტვირთი; 9. აზელილი კარტოფილი; 11. სიბრტყის პერპენდიკულარული სწორი ხაზი; 15. ამერიკელთა მკვიდრი მოსახლეობის საერთო სახელი; 16. ფიცრის დასაკეცი ფანჯრის საფარი; 17. ჭრილობის მონარჩენი ზოლი სხეულზე; 19. კეთილსურნელება; 21. აგურის ფორმით დაპრესილი რამე მასალა; 22. რბილის საპირისპირო.

შეადგინა ოლივერ კოხიამ